ბავშვის უფლებები პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

თბილისი
2021

ანგარიში მოამზადა კოალიციამ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.
ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

კვლევის ავტორები: ცირა ბარქაია, ნანა გოჩიაშვილი, ანა აბაშიძე, ოთარ დალაქიშვილი
კვლევის მომზადების პროცესში ჩართული სფეროს ექსპერტები: სალომე ჭიჭინაძე, ქეთი გიგინეიშვილი, თამარ ივანიაძე, ნინო ნუცუბიძე, ნინო წულეისკირი, ანტონ ქელბაქიანი, დიანა ჯანაშია
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

@კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის (CCY)

ბავშვის უფლებები
პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

სარჩევი

შესავალი.....5
შეჯამება.....7
ბავშვის უფლებები და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.....9
პოლიტიკური პარტიების პროგრამების ზოგადი შეფასება ბავშვის უფლებებთან მიმართებით.....10
პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიღმა დარჩენილი საკითხები.....10
ბავშვის უფლებების სფეროსთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განსაზღვრული პრიორიტეტული საკითხები.....11
ბავშვთა დაცვის სისტემა.....11
ბავშვთა სოციალური დაცვა.....12
განათლების უფლების დაცვა.....13
2020 წლის არჩევნები და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ხედვა ბავშვებთან მიმართებაში.....13
ბავშვის უფლებები 2016 და 2012 წლების საპარლმენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.....16
2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და ბავშვთა უფლებები.....16
2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ბავშვთა უფლებები.....18
ბავშვთა საკითხების გაშუქება წინასაარჩევნო პერიოდში.....20
დასკვნა.....24
დანართი - ბავშვთა დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები.....25

შესავალი

დოკუმენტი „ბავშვის უფლებები პოლიტიკური პარტიების პროგრამებში“ წარმოადგენს პირველ მცდელობას, გაანალიზოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები და წინასაარჩევნოდ მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ბავშვის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან. მისი მიზანია პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზით გამოკვეთოს ძირითადი თემები, რომლებიც მათ დღის წესრიგში ხვდება; შეაფასოს, თუ როგორ ხედავენ და აღწერენ პოლიტიკური პარტიები ბავშვთა უფლებებს, საკმარისია თუ არა მათი ხედვა სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად და რამდენად პასუხობს ეს ინიციატივები ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სფეროს უმთავრეს სირთულეებს.

ანგარიში მომზადდა პროექტის „ბავშვთა საკითხების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა 2020 წლის საპარალამენტო არჩევნების დღის წესრიგში (Child Rights Reflection on the Parliamentary Elections Agenda 2020 (CRR on PEA 2020) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კოალიციის ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა უფლებების საკითხების ადვოკატირება და მასთან დაკავშირებული ხელშესახები, კონკრეტული გამოსავლების შეთავაზება, რომლებიც გათვალისწინებული იქნებოდა ან აისახებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ან დღის წესრიგში. პროექტის ფარგლებში კოალიციამ მიმართა საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას და გამოხატა მათთან ინდივიდუალური შეხვედრების სრული მზადყოფნა, გაუზიარა მათ აქტუალური საკითხები, პრობლემის დასმით, კონკრეტული გამოსავლების შეთავაზებით და იმ პოზიტიური მოლოდინით, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე პარტიები გაითვალისწინებდნენ ამ საკითხებს. კოალიციის შეტყობინებას ინდივიდუალური შეხვედრების შესახებ გამოეხმაურნენ შემდეგი პარტიები: *თავისუფალი დემოკრატები, სამართლიანობისთვის, ლელო საქართველოსთვის, რესპუბლიკური პარტია და ევროპული საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა.*

აღსანიშნავია, როომ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევებში ბავშვის უფლებების სისტემურ დარღვევებზე აქცენტის გაკეთების მიუხედავად, ეს საკითხები არ ხვდება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დღის წესრიგში. კოვიდ-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო მწვავედ გამოავლინა ის სირთულეები, რომელებიც არსებობს ქვეყანაში ბავშვის განვითარებისა და ბავშვის მხარდამჭერი მომსახურებების მიმართულებით. პროექტის მიზნების მიღწევის მიზნით, კოალიციამ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შეიმუშავა და გაავრცელა საინფორმაციო ბროშურები და ინფოგრაფიკები, სადაც ასახულია ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული ის უმთავრესი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრასა და ხელისუფლების მხრიდან აქტიურ მუშაობას მოითხოვს ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

ანგარიშის მომზადების პროცესში მონაცემების შეგროვებისთვის ძირითადად გამოყენებული იყო შემდეგი მიდგომები და წყაროები: კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბარათი „ბავშვის უფლებები, 2019 წელი“, რომელიც სფეროს ექსპერტების, ბავშვის უფლებების თემაზე არსებული კვლევებისა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აანალიზებს ქვეყანში ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სისტემის 10 მთავარ გამოწვევას. დოკუმენტის მომზადების დროს ასევე დამუშავდა partirbi.ge-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული 2012, 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების პროგრამები.

დოკუმენტი 4 ძირითადი თავისგან შედგება. პირველი ნაწილი, „ინიციატივა ბავშვთა

საკითხების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში“ მიმოიხილავს ინიციატივის მიზანს, მის მნიშვნელობას ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში და ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების ინფორმირებულობის გაზრდას ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

მეორე თავი შეეხება 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზს. კერძოდ, მიმოხილულია ძირითადი საარჩევნო სუბიექტების ხედვა ბავშვის უფლებების სფეროში არსებულ სირთულეებთან დაკავშირებით და მათი გადაჭრისათვის შემოთავაზებული აქტივობები. ეს თავი დოკუმენტის მომდევნო ნაწილთან ერთად შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, თუ რა პროგრესი შეინიშნება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ბავშვის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების ასახვასთან დაკავშირებით.

მესამე თავი შეეხება უშუალოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ანალიზს. კერძოდ, საწყის ეტაპზე ის მიმოიხილავს ბავშვის უფლებების სფეროს ექსპერტების ჩართულებით მომზადებულ ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სფეროს ათ სისტემურ პრობლემას, რომელთა შესახებაც, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი ხედვა ჰქონდეთ პოლიტიკურ პარტიებს. ეს თავი ასევე მიმოიხილავს კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ პარტიების მიერ შემოთავაზებულ ინიციატივებს ბავშვის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან.

ბოლო, მეოთხე თავი წარმოადგენს მედიამონიტორინგს. კერძოდ, ის აანალიზებს ბავშვთა საკითხების გაშუქების ტენდენციას საინფორმაციო გადაცემებისა და წინასაარჩევნო დებატების პროცესში.

აქვე განსაკუთრებული მადლობა ორგანიზაციას - *ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი* (NDI), რომელმაც ღირებული დახმარება გაუწია კოალიციას და დააკავშირა საარჩევნო პროცესში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებთან.

შეჯამება

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არაერთი სისტემური გამოწვევაა, რომელთა გამოც ყოველდღიურად ირღვევა ბავშვის უფლებები. პრობლემურია სოციალური მუშაკების შრომითი პირობები ყველა მიმართულებით, რაც პირდაპირ უკავშირდება ბავშვის უფლებების დაცვის ვალდებულებების შეუსრულებლობას სახელწიფოს მხრიდან. მწირია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ოჯახის გამაძლიერებელი პროგრამები. ადრეული ასაკის ბავშვებისათვის მიწოდებული სკოლამდელი განათლების მომსახურება სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. 2016 წელს *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ* კანონის დამტკიცების შემდგომ, ძირეული რეფორმები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რიგ საკითხებში, ძალიან ნელა მიმდინარეობს. ქვეყანაში არ არსებობს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლების გაძლიერებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მართალია, უკანასკნელ წლებში გაიზარდა სოციალური სერვისებისა და მასში ჩართული ბავშვების რაოდენობა, მაგრამ მაინც გამოწვევად რჩება ბავშვებისათვის სოციალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

სახელმწიფოს მიერ დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის გატარების მიუხედავად, საქართველოში დღეს მკაფიოდ იკვეთება დაუცველი ბავშვების ინსტიტუციური (ოჯახის ალტერნატიული) ზრუნვის ტენდენციები, ნაცვლად მათი ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის შესაძლებლობებით უზრუნველყოფისა. 18000-მდე 18 წლამდე ბავშვი ცხოვრობს სახელმწიფო ზრუნვის სიტემაში. ბავშვთა სიღარიბე და მისი უმძიმესი შედეგები ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ხშირად, სწორედ ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხდება იმის მიზეზი, რომ ბავშვები დიდი ზომის, უმეტესად არალიცენზირებულ დაწესებულებებში ხვდებიან. მიუხედავად ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის მაჩვენებლების კლებისა, ის ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს მაინც აღემატება. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებისთვის. თუმცა, სისტემური ხარვეზები არსებობს ბავშვების პირველი კონტაქტისას მართლმსაჯულების სისტემასთან, ძირითადად - პოლიციის განყოფილებებში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით თითქმის ყველა სფეროში არსებული სისტემური გამოწვევები არასრულად არის ასახული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში ან/და ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიღმაა დარჩენილი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილეო 50 საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ 11-ის საარჩევნო პროგრამასა და partiebi.ge-ის მიერ შეთავაზებული სპეციალური კითხვარის პასუხებში ფიქსირდება პოლიტიკური პარტიების ხედვა ბავშვის უფლებების თემაზე. სამწუხარო ტენდენცია გამოიკვეთა *პოლიტიკური ცენტრი - გირჩის* შემთხვევაში, რომელიც, ფაქტობრივად, ვერ ხედავს ხელისუფლების როლს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უარყოფითად შეიძლება შეფასდეს პროგრამებში, არის ქველმოქმედებაზე, როგორც ბავშვის უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება და მისი პრიორიტეტად გამოყოფა.

თემების აქტუალობის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიღმა დარჩა ისეთი საკითხები, როგორებიცაა, რეინტეგრაციის პროგრამა - ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნება და ოჯახურ გარემოში აღზრდა, დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვთა არალიცენზირებული დაწესებულებების საკითხი, სიღარიბის გამო ბავშვების ოჯახებიდან გამოყვანა, მკვდრადშობადობისა და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების პროგრამებში საკმაოდ მწირად და არასრულად გვხვდება ჩანაწერები ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სისტემაში არსებული გამოწვევების შესახებ, წინა წლების საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გარკვეული პროგრესი მაინც შეინიშნება. კერძოდ, ორ პოლიტიკურ პარტიას ცალკე საკითხად აქვს განხილული ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული პრობლემები. კვლე-

ვამ გამოავლინა, რომ იმ პარტიების შემთხვევაში, რომელთაც დააფიქსირეს საკუთარი ხედვა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, ჩანაწერები უმეტესად დეკლარაციულია, რაც შეუძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, როგორ და რა გეგმით აპირებენ ისინი პრიორიტეტად გამოყოფილი უფლებების დაცვის რეალიზებას.

კვლევის მიხედვით, საკითხები, რომლებიც ასახულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, სამი მიმართულებით შეიძლება დაჯგუფდეს: ბავშვთა დაცვის სისტემა, სოციალური დაცვა და განათლება. საკითხი, რომელიც ყველაზე მეტი პოლიტიკური პარტიის პროგრამაში გამოიყო, როგორც ყველაზე პრობლემური და ბავშვთა დაცვის სისტემას უკავშირდება, ბავშვის მიმართ ძალადობაა. 2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2020 წლის წინასაარჩევნო პროგრამებში გაჩნდა ახალი თემა - აზარტული თამაშები და არასრულწლოვანები. უარყოფითი ტენდენცია გამოიკვეთა ბავშვთა შრომასა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, 2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების დროს, ბევრად მეტი პარტია აკეთებდა ამ საკითხებზე აქცენტს, მაშინ, როცა 2020 წელს, ის მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ დაასახელა, როგორც პრობლემა. ბავშვთა დაცვის სისტემის ორი სისტემური სირთულე, სოციალური მუშაობის სფეროს განვითარება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ასევე არასრულად და მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოყო პრიორიტეტულად.

სოციალური დაცვის სისტემის გამოწვევებიდან ბავშვთა სიღარიბე ყველაზე მეტმა პოლიტიკური პარტიამ აღნიშნა საკუთარ პროგრამაში. თუმცა, მიუხედავად ამ თემის განსაკუთრებული აქტუალობისა, მხოლოდ ოთხმა პარტიამ გამოყო ის პრიორიტეტად. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სოციალური საცხოვრისის თემის გაჩენა 2020 წლის პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, რაც 2016 და 2012 წლებში არ გვხვდებოდა. ასევე, ახალი საკითხი, რომელიც ასევე უკავშირდება ბავშვთა სიღარიბის თემას და აქამდე არ გვხვდებოდა პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში, სკოლებში უფასო კვების პროგრამაა. ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია როგორც სოციალური პროგრამების, ისე განათლებისა და ბავშვთა დაცვის სისტემასთან, არის სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების წინაშე არსებული სირთულეების სრული უგულებელყოფა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ეს თემა განსაკუთრებით ეხება განათლების მისაწვდომობისა და ხარისხიანი სკოლამდელი და ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობას.

ბავშვის უფლებები და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები

2020 წლის საპარალამენტო არჩევნებზე 50 საარჩევნო სუბიექტი იყო დარეგისტრირებული. ამათგან, 12 პოლიტიკური პარტიის[1] ხედვა და საარჩევნო პროგრამა განთავსებულია partiebi.ge-ს ოფიციალურ გვერდზე, რომელიც 2012 წლიდან რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეხედულებებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. პარტიების ხედვის იდენტიფიცირების მიზნით შემუშავებულია სპეციალური კითხვარი, რომლის შევსებაც პარტიებს საშუალებას აძლევს, ამომრჩევლებამდე მიიტანონ საკუთარი შეხედულებები უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის, განათლების, უსაფრთხოების და სხვა აქტუალურ თემებზე. მაგალითად, 2020 წლის კითხვარი ასევე მოიცავდა შესაძლებლობას, პარტიებს შეეთავაზებინათ მოქალაქეებისთვის კოვიდ-19-ის პანდემიის დაძლევის ანტიკრიზისული გეგმა.

2020 წლის კითხვარი[2], რომელიც თორმეტმა პარტიამ შეავსო, ხუთი ძირითადი ქვეთავისგან შედგებოდა, ესენია: კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება, პოლიტიკა და ეკონომიკა, საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა. კითხვარი ითვალისწინებდა პოლიტიკური პარტიების ხედვის იდენტიფიცირებას, თუ როგორ აპირებდნენ ისინი ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების გადაჭრას. კერძოდ, პარტიებს ჰკითხეს: რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

კითხვარში ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა მხოლოდ კვლევის ფარგლებში შესწავლილმა ათმა პარტიამ. ორი პოლიტიკური პარტია, რომლებმაც კითხვარში არ განსაზღვრა, რომელ თემებს მიიჩნევს ბავშვის უფლებების სფეროს მთავარ გამოწვევად და როგორ აპირებს მათ მოგვარებას, არის *თავისუფალი საქართველო* და *ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო*.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, წინსვლად უნდა შეფასდეს ორი პოლიტიკური პარტიის მიერ წინასაარჩევნო პროგრამაში ბავშვის უფლებების შესახებ ცალკე თავის გამოყოფა. ეს პარტიებია *ლელო საქართველოსთვის* და *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*.

ცალკე უნდა გამოიყოს *ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი*, რომლის ხედვა ბავშვის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით გამოირჩევა რადიკალური მიდგომით და ფაქტორივად სრულად გამორიცხავს სახელმწიფოს როლს ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარების მიმართულებით. მათ მიერ კითხვარში დაფიქსირებული პოზიციის მიხედვით, უარყოფითად არის შეფასებული ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელიც რეალურად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გარანტიაა ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვისთვის.

ბავშვის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ხედვის შესასწავლად, გარდა partiebi.ge-ზე განთავსებული კითხვარებისა, დამუშავდა მათ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პარტიის პროგრამები. თუმცა, მსგავსი პროგრამები მისაწვდომი იყო მხოლოდ რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის შემთხვევაში, კერძოდ: *სტრატეგია აღმაშენებელი, ქართული ოც-*

[1] ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები, ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი, ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია, ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია, ლელო საქართველოსთვის, რეფორმატორები, სამართლიანობისთვის, სტრატეგია აღმაშენებელი, ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო.

[2] https://partiebi.ge/2020/geo/questionnaire

ნება - დემოკრატიული საქართველო, ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის, ლელო საქართველოსთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და *ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა.*

პოლიტიკური პარტიების პროგრამების ზოგადი შეფასება ბავშვის უფლებებთან მიმართებით

კვლევის დროს, გარდა შინაარსობრივი მხრისა, შეფასდა პოლიტიკური პარტიების პროგრამების განჭვრეტადობა და ძირითადი მიდგომები, თუ როგორ უყურებენ ბავშვის უფლებების სფეროს.

ერთ-ერთი მთავარი მიგნება, რომელიც პოლიტიკური პარტიების პროგრამების ზოგადი შეფასებიდან გამოიკვეთა, არის ის, რომ მათ მიერ დასახელებული პრიორიტეტების უმეტესობა ბავშვის უფლებების სფეროსთან დაკავშირებით დეკლარაციულია და შეუძლებელია პარტიების ზუსტი ხედვის განსაზღვრა, თუ როგორ აპირებენ ბავშვის უფლებების პრაქტიკაში განხორციელებას:

> *,,ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება და შესაძლებლობა, აღიზარდონ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ნორმალურ პირობებში"*
>
> *,,განათლების უხარისხო სისტემა და განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები ნიშნავს ჩვენი ქვეყნისთვის წარმატების და ბედნიერად ცხოვრების შესაძლებლობის წართმევას".*

პოლიტიკური პარტიების პროგრამების უმეტესობაში სტრუქტურული სახით არ გვხვდება ბავშვის უფლებების შესახებ ჩანაწერები. ისინი სხვადასხვა ქვეთავშია გაფანტული და ზოგჯერ, არაპირდაპირ შეიძლება საკითხის დაკავშირება ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სისტემასთან. ეს პრობლემა, ერთი მხრივ, ართულებს პარტიების ხედვის ზუსტად განსაზღვრას ბავშვის უფლებების სფეროს გამოწვევებთან დაკავშირებით, მეორე მხრივ აჩვენებს, რომ ბავშვის უფლებების თემებზე არ არსებობს შესაბამისი ცოდნა და ექსპერტიზა პოლიტიკურ პარტიებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლისს წარმოადგენს ორი პოლიტიკური პარტია - *ლელო საქართველოსთვის* და *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.* მათ საკუთარ წინასაარჩევნო პროგრამებში ცალკე თავად გამოყვეს ბავშვის უფლებების სფეროს გამოწვევები.

კიდევ ერთი მიგნება, რომელიც პროგრამებისა და კითხვარების დამუშავების დროს გამოიკვეთა და ყველა პოლიტიკურ პარტიას ეხება, ისაა, რომ პარტიები პრობლემებს აღწერენ, მაგრამ არ აკონკრეტებენ, თუ რას აპირებენ მათ გადასაჭრელად.

ასევე, სამწუხარო ტენდენცია დაფიქსირდა, როდესაც პოლიტიკური პარტიები ბავშვის უფლებების სფეროს, კერძოდ მძიმე სოციალური გამოწვევების გადაჭრას ქველმოქმედების წახალისებას უკავშირებენ - *,,ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა იქნას წახალისებული ქველმოქმედება".* პოლიტიკური პარტია, რომელიც პარლამენტში მოსახვედრად იბრძვის, მნიშვნელოვანია, საკუთარ პასუხისმგებლობას ხედავდეს ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად და სწორედ ამ მიდგომის მიხედვით აყალიბებდეს საკუთარ სამოქმედო გეგმას.

პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიღმა დარჩენილი საკითხები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და შევსებული კითხვარების ანალიზიდან იკვეთება, რომ პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიღმა დარჩა ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სფეროს ისეთი გამოწვევები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვის ოჯახურ გარემოში შენარჩუნებასა და ბავშვის ჯანმრთელობის უფლების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ საკითხების უმეტესობა, რომელიც ასახულია წინასაარჩევნო პროგრამებში, არის ძალიან ზოგადი, არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, თუ როგორ აპირებენ პოლიტიკური პარტიები მათ მიერ დასახელებული პრობლემების მოგვარებას, მათი ხსენება და დღის წესრიგში დაყენება მაინც მნიშვნელოვანია. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ თემების გამოყოფა, რომლებიც მათი

აქტუალობის მიუხედავად, არ გახდა პრიორიტეტული. საკითხები, რომლებიც პროგრამების მიღმა დარჩა, შემდეგია:

• რეინტეგრაციის პროგრამის განვითარება და ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა;
• დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვთა არალიცენზირებული დაწესებულებების საკითხი;
• ოჯახიდან ბავშვების სიღარიბის გამო გამოყვანის საკითხი, მათ შორის ჩვილი ბავშვების;
• მკვდრადშობადობის და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა.

ბავშვის უფლებების სფეროსთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განსაზღვრული პრიორიტეტული საკითხები

კვლევის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზის დროს მთავარი აქცენტი კეთდებოდა ზემოთნახსენებ ბავშვის უფლებების სფეროს ათ სისტემურ გამოწვევაზე. კერძოდ, ანალიზის დროს ფასდებოდა, რამდენად ითვალისწინებდა წინასაარჩევნო პროგრამები აღნიშნულ ათი პრობლემიდან რომელიმეს. შედეგები, რომლებიც გამოიკვეთა პროგრამებიდან და შევსებული კითხვარებიდან, სამ ძირითად სფეროდ დაიყო: განათლება, ბავშვთა დაცვის სისტემა და სოციალური დაცვა.

ბავშვთა დაცვის სისტემა

ბავშვთა დაცვის სისტემაში არსებული პრობლემებიდან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყოფილია შემდეგი საკითხები:

ბავშვის მიმართ ძალადობა - *სტრატეგია აღმაშენებელი, სამართლიანობისთვის, ლელო საქართველოსთვის, ლეიბორისტული პარტია, ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა, ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის, ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები;*

არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩართულობის პრევენცია - *ლელო საქართველოსთვის, ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა;*

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - *ლელო საქართველოსთვის, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;*

ბავშვთა შრომა - *ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა;*

სოციალური მუშაობის სფეროს განვითარება - *ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, სტრატეგია აღმაშენებელი, ლელო საქართველოსთვის.*

ბავშვთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით პარტიების მიერ დასახელებული პრიორიტეტებისა და 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. ბავშვის მიმართ ძალადობა, რომელიც, მართლაც, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემაა ქვეყანაში, პოლიტიკური პარტიების უმეტესობის დღის წესრიგში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ განსაზღვრული სამუშაოები ამ მიმართულებით ძალიან ზოგადია, გარკვეული პროგრესი მაინც შეინიშნება. კერძოდ, ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხი არ არის ერთიანი მოცემულობა და ზოგიერთ შემთხვევაში გამოყოფილია ძალადობის ფორმები. მაგალითად, ცალკე არის აღიშნული სექსუალური ძალადობის საკითხი, რომელიც დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს სახელმწიფოსგან.

2. ბავშვთა შრომის საკითხი, რომელიც წლებია, გადაუჭრელ პრობლემად რჩება, მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის დღის წესრიგში მოხვდა. სამწუხაროა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც სხვა პოლიტიკური პარტიებიც აკეთებდნენ ამ პრობლემაზე აქცენტს, 2020 წელს საკითხი

პრიორიტეტული აღარ არის. თანაც, ზემოთაღნიშნული ერთი პოლიტიკური პარტიის შემთხვევაშიც, მხოლოდ პრობლემის აღიარება ფიქსირდება და მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აღარ გვხვდება ხედვა, თუ როგორ აპირებენ მის მოგვარებას - *,,უკონტროლოა ბავშვთა შრომის მდგომარეობა - უკიდურესი გაჭირვების გამო უამრავ ბავშვს უწევს ფიზიკური შრომა, რაც ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას".*

3. ასევე, სამწუხაროა, რომ მიუხედავად წინა წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული სისტემური გამოწვევების გამოვლენისა, ასევე მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტიის პროგრამაშია ასახული ეს საკითხი.

4. სოციალური სფეროს პოლიტიკისა და სოციალური მუშაობის სფეროს განვითარება, რომელიც ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის ყველა სფეროს მიემართება და უდიდესი გამოწვევების წინაშეა, მხოლოდ ოთხი პოლიტიკური პარტიის პროგრამაშია ნახსენები. თუმცა, მარტო ერთ შემთხვევაში *(ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო)* უკავშირდება ეს თემა სახელმწიფო სოციალური მუშაობის სფეროს. დანარჩენ სამ შემთხვევაში მხოლოდ განათლების სისტემაში სოციალური მუშაობის განვითარების მნიშვნელობაა ხაზგასმული.

5. წინა წლებისგან განსხვავებით, წინასაარჩევნო პროგრამებში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აზარტული თამაშებისა და ბავშვის უფლებების დაკავშირება.

ბავშვთა სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის სფეროში არსებული გამოწვევებიდან, პოლიტიკური პარტიები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ პრობლემებზე:

ბავშვთა სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება - *ლელო საქართველოსთვის, ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია, ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის;*

შშმ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება - *სტრატეგია აღმაშენებელი, ლელო საქართველოსთვის;*

სოციალური დახმარების გაზრდა შშმ ბავშვებისთვის - *ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;*

საცხოვრისით ბავშვების უზრუნველყოფა - *ლელო საქართველოსთვის;*

ოჯახების გაძლიერების პროგრამების განვითარება - *ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;*

უფასო კვების პროგრამის დანერგვა სკოლებში - *ლეიბორისტული პარტია.*

1. ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და კიდევ უფრო აქტუალური გახდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, მხოლოდ ოთხი პოლიტიკური პარტიის დღის წესრიგში მოხვდა. თუმცა, ისევე როგორც სხვა პრიორიტეტული თემების შემთხვევაშიც, არ ხდება დაკონკრეტება, რა იქნება ის ღონისძიებები, რომელსაც გაატარებენ ამ უმწვავესი პრობლემის გადასაჭრელად.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევები, მხოლოდ სოციალური დაცვის სფეროში გვხვდება და ისიც მხოლოდ ძალიან ზოგადი ჩანაწერით და სამი პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში. სამწუხაროდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხები არ დაფიქსირებულა სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროსთან მიმართებით. ამასთან, სრუ-

ლიად გაუგებარია, რა იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებაში, მაშინ როცა პრობლემები არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებით.

3. ბავშვთა სოციალური დაცვის სფეროსთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გაჩენილი ჩანაწერები საცხოვრისით დაკმაყოფილებასა და სკოლებში უფასო კვების პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

განათლების უფლების დაცვა

განათლების სფეროში არსებული პრობლემებიდან, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე საარჩევნო სუბიექტები, საკუთარ როლს შემდეგი საკითხების მოგვარების მიმართულებით ხედავენ:

ინტერნეტისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გაზრდა - *სტრატეგია აღმაშენებელი;*

სკოლამდელი განათლების განვითარება - *სამართლიანობისთვის, ლეიბორისტული პარტია;*

განათლების მისაწვდომობა - *რეფორმატორები, ლელო საქართველოსთვის; ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო;*

განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები - *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია.*

1. განათლების უფლებასთან მიმართებით ძირითადი აქცენტი ზოგადი განათლების მისაწვდომობასთან დაკავშირებით კეთდება. თუმცა, არ გვხვდება ჩანაწერები განათლების ხარისხის შესახებ. მისასალმებელია, რომ თუნდაც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოყო განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების საკითხი, რომელიც ნამდვილად პრობლემურია და მიემართება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ისე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

2. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სიახლე, რომელიც 2020 წელს გაჩნდა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში და უკავშირდება ინტერნეტისა და ტექნიკური აღჭურვილობების ხელმისაწვდომობის გაზრდას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში და პირდაპირ უკავშირდება განათლების მიღების შესაძლებლობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მხოლოდ ერთი პარტიის მიერ იქნა განსაზღვრული პრიორიტეტულად.

2020 წლის არჩევნები და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ხედვა ბავშვებთან მიმართებაში

საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა კითხვარების შეფასების პარალელურად, წარმოდგენილი დოკუმენტი განიხილავს პარტიების შეხედულებებს და გეგმებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, პანდემიის მართვის და ამ პროცესში ბავშვთა უფლებების და საკითხების გათვალისწინების ხარისხს. ამ მიზნით შეფასდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 12 პარტიის პროგრამა, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ პლატფორმაზე www.partiebi.ge.

აღსანიშნავია, რომ 12 პარტიიდან პანდემიის დროს ბავშვთა უფლებების შესახებ პროგრამული გეგმა მხოლოდ შვიდ პარტიას აღმოაჩნდა. ამავდროულად, პარტიათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ პანდემიამ ბავშვები მხოლოდ განათლების მისაწვდომობის მხრივ დააზიანა, შესაბამისად, მათი ძალიან ზოგადი აქცენტი მხოლოდ განათლების სისტემის გაუმჯობესებას მიემართება. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ პარტიას, რომელთა შორისაც არის მმართველი პარტია, პანდემიისას ბავშვთა

წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მისი დაძლევის გზებზე პროგრამაში ჩანაწერიც კი არ მოეპოვებათ. განვიხილავთ მხოლოდ შვიდი პარტიის ხედვას და კრიზისულ გეგმებს ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ უნდა იყოს შემუშავებული:

ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები

პარტიამ პლატფორმაზე განათავსა კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხო ანტიკრიზისული გეგმა. გეგმა პრაქტიკულად სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს მიმოიხილავს თუმცა, დოკუმენტში, გარდა განათლების საკითხებისა, ბავშვთა შესახებ სხვა ინფორმაცია არ იძებნება; კერძოდ, გეგმაში განხილულია განათლების მისაწვდომობის პრობლემა ონლაინ სწავლებაზე გადასვლის გამო. კონკრეტული გამოსავალი არ არის მითითებული.

ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი

პარტია საჭიროდ მიიჩნევს განათლების სფეროში ყველა შეზღუდვის გაუქმებას და ყველა ბავშვის ჩართვას პირისპირ სწავლების პროცესში.

ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის

პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით ძირითადად განათლების მისაწვდომობის პრობლემის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, რაც ინტერნეტიზაციის ხელშეწყობას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, ბავშვების სკოლაში დაბრუნებასა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არსებით გაუმჯობესებას უკავშირდება.

ლეიბორისტული პარტია

პარტიას მიაჩნია, რომ პანდემიის დროს ყველა ბავშვისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი ონლაინ სწავლება. შესაბამისად, სასწავლო წლის დაწყებიდან ყველა ბავშვს უნდა გადაეცეს პერსონალური კომპიუტერი და ამასთანავე, ინტერნეტ მომწოდებლებმა მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და პერსონალს უნდა შესთავაზონ საშეღავათო ინტერნეტ პაკეტი.

პოლიტიკური პარტია - ლელო საქართველოსთვის

პარტიამ შეიმუშავა სპეციალური ანტიკრიზისული გეგმა პანდემიასთან ბრძოლისთვის. გეგმის ნაწილი ეთმობა განათლების მისაწვდომობას. გამოსავალი, გეგმის მიხედვით, ტრადიციული სასწავლო პროცესის სრულ აღდგენას უკავშირდება.

სტრატეგია აღმაშენებელი

სხვა პარტიებისაგან განსხვავებით, სტრატეგია აღმაშენებელი პანდემიასთან დაკავშირებით პროგრამულად წარადგენს განათლების მისაწვდომობის და სოციალურ სიდუხჭირეში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობის შემსუბუქების გეგმას. გეგმის თანახმად, უნდა შეფასდეს საჯარო სკოლის ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება ტექნიკისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ასევე მომზადდება ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სოციალური პაკეტი მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის და საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახში მყოფი ბავშვებისთვის.

ნაციონალური მოძრაობა

პარტია გეგმავს იმ არასრულწლოვნებისთვის 500 ლარიანი სოციალური დახმარების გაწევას, რომელთა ოჯახების შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს წლიურად. განათლების უფლების რეალიზების მიზნით პარტია გეგმავს მიზნობრივი ვაუჩერის დარიგებას ინტერნეტის უზრუნველყო-

ფისთვის და ასევე, დროებითი გამოყენების მიზნით ბავშვებისთვის კომპიუტერების გადაცემას.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ვერც ერთი პარტია ვერ აცნობიერებს პანდემიის მიერ ბავშვებისთვის მიყენებული ზიანის შინაარსს, ამავდროულად, არ იცნობს იმ საერთაშორისო რეკომენდაციებს, რომლებიც სწორედ ბავშვთა რეაბილიტაციას და ზიანის პრევენციას უკავშირდება. მათი მიერ წარმოდგენილ პროგრამებში პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი ისეთ უმნიშვნელოვანეს თემებზე, როგორიცაა ძალადობის ზრდა პანდემიის დროს, გოგო ბავშვების იძულებითი ქორწინება, მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვა, პენიტენციურ გარემოში იზოლირებულ ბავშვთა სპეციალური გამოწვევები, შშმ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია და სხვა საკითხები, რომლებიც პანდემიის დროს არსებით გავლენას ახდენს არასრულწლოვნებზე და სახელმწიფოებს კონკრეტული ვალდებულებებს აკისრებს ზიანის შესამცირებლად.

ბავშვის უფლებები 2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში

წინამდებარე თავის მიზანია, შეაფასოს 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიათა პროგრამები ბავშვთა უფლებების და ინტერესების დაცვისა და გათვალისწინების თვალსაზრისით.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და ბავშვთა უფლებები

შეფასდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 6 პარტიის პროგრამა. ესენია: *დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ზვიადის გზა - უფლის სახელით; ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა; უსუფაშვილი - რესპუბლიკელები; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.*

დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის

პარტია ბავშვის უფლებებზე არაფერს მიუთითებს და ამ თემაზე სპეციალურად დასმული შეკითხვის, თუ რას გეგმავს პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით, პასუხად ორ ძირითად პრობლემას ასახელებს - განათლების უფლებას და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, თუმცა, დეტალური განხილვის გარეშე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ნაციონალური მოძრაობა განათლების სფეროში დეტალური და მასშტაბური ცვლილებების ინიციატივით გამოდის, რომლებიც ეხება სკოლიდან გარიყული ბავშვების დაბრუნებას, სკოლის დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას, სკოლის დეპოლიტიზებას, სკოლამდელი განათლების გაძლიერებას, საგრანტო პროგრამების ზრდას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პედაგოგების შრომითი პირობების გაუმჯობესებას და სხვ. სპეციალურ კითხვაზე, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებების გაუმჯობესებას, პარტია ზოგადად პასუხობს, რომ გეგმავს ოჯახში ძალადობის პრევენციის სისტემის გაუმჯობესებას. პარტია აპირებს დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის გაგრძელებას და სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირების მხარდაჭერის მიმართულებით მუშაობას მათი სრულყოფილი სოციალიზაციის მიზნით.

ზვიადის გზა - უფლის სახელით

პარტია განათლების სისტემაში გეგმავს შემდეგ ცვლილებებს: უფასო საშუალო განათლება და სისტემის ტექნიკურად აღჭურვა. პარტიას მიაჩნია, რომ ბავშვთა უფლებების დასაცავად უმთავრესია მათი მშობლების გაძლიერება. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს უსახლკარო და მშობლების მზრუნველობასმოკლებული ბავშვებისთვის ნორმალური პირობების შექმნაზე.

ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა

პარტიას განათლების მიმართულებით კონკრეტული შემოთავაზება სკოლამდელ საფეხურზე აქვს და მიაჩნია, რომ აღმზრდელი მასწავლებელს სტატუსით უნდა გაუთანაბრდეს, ხოლო მასწავლებლის ხელფასი გაიზარდოს 1300 ლარამდე. ასევე მნიშნელოვანია საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველებისთვის სახელმწიფო ფონდის შექმნა და უმაღლესი სასწავლებლების სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე გადაყვანა. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, პარტია ამომრჩეველს ბავშვებისთვის სამედიცინო საჭიროების სრულ დაფინანსებას ჰპირდება. სოციალური დაცვის თვალსაზრისით შემოთავაზებულია ბავშვისთვის „დედის ხელფასის“ დაწესება. ასევე უნდა განისაზღვროს

მარტოხელა მშობლის და მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი და გაიცეს შემწეობა. ბავშვთა დაცვის მიმართულებით, პარტია აპირებს სრულად აღასრულოს ბავშვის უფლებათა კონვენცია, პრიორიტეტია მავნე ზეგავლენისაგან ბავშვების დაცვა, რაც განხორციელდება ახალგაზრდობის აღზრდის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების და საკანონმდებლო ცვლილებების გზით.

უსუფაშვილი - რესპუბლიკელები

პარტიას მიაჩნია, რომ აუცილებელია განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა და სისტემაში დასაქმებული პროფესიონალების შრომით პირობების გაუმჯობესება; ასევე, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. უმცირესობათა უფლებების დაცვის მიზნით, პარტიის პროგრამაში აღნიშნულია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა, დისკრიმინაციისაგან დაცვის სისტემის გაუმჯობესება. ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით კონკრეტულად დასახელდა შემდეგი პრობლემები: უთანასწორობა, სიღარიბე, ქუჩაში ცხოვრება, ძალადობა, ტრეფიკინგი და სიკვდილიანობა. პარტიის მიდგომები ასეთია - უნდა მოხდეს ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის საკითხების განხილვის აქტუალიზება და ბიუჯეტში ასახვა. უნდა შეიქმნას ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მექანიზმები. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება ბავშვთა მიტოვების პრევენციაზე.

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

პარტია განათლების მიმართულებით გეგმავს საჯარო და კერძო სკოლამდელ დაწესებულებებში, ერთიანი სტანდარტის შემუშავებას. უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური, მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული სისტემისა და საგანმანათლებლო გარემოს განვითარება; თავისუფალი გაკვეთილები, რომელიც მოსწავლეების ინტერესებზე იქნება მორგებული, სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება; გაუმჯობესდება სასკოლო ინფრასტრუქტურა და სხვ. ჯანდაცვის მიმართულებით პარტიის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას. ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა - გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამა და 2014 წლიდან მოქმედი პროგრამა, რომელიც ორსულებს და ახალშობილებს უზრუნველყოფს ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით. სოციალური დაცვის მიმართულებით პარტია გეგმავს სოციალური პაკეტის მომზადებას მრავალშვილიანი მშობლისთვის, შემუშავდება რეგულაციები აზარტულ თამაშებში არასრულწლოვნების ჩართვის პრევენციასთან დაკავშირებით. უმცირესობათა უფლებების დასაცავად გაიზრდება მისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურზე. უშუალოდ ბავშვთა უფლებების გაუმჯობესებაზე დასმული შეკითხვის პასუხად პარტია აცხადებს, რომ უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური, მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული სისტემისა და საგანმანათლებლო გარემოს განვითარება გაგრძელდება მზრუნველობამოკლებული ბავშვების დიდი ზომის ბავშვთა სახლებიდან მცირე ზომის ბავშვთა სახლებზე გადასვლა, რაც მნიშვნელოვანია ბავშვების სწორი აღზრდისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის; ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის, შეიქმნება დღის ცენტრები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების კვება, აკადემიური და ჰიგიენური საჭიროებები, სამედიცინო და განათლების სერვისები, სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა. ცენტრებში შშმ ბავშვებისთვის განხორციელდება რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, ადრეული განვითარების შეფერხების პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვანია შშმ ბავშვებისთვის საჭირო უნარების ჩამოსაყალიბებლად.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილ პარტიათა პროგრამების განხილვა ცხადყოფს, რომ გაზრდილია მათი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანი მოქალაქეების წინაშე, რაც გამოიხატება ბავშვთა საკითხების მეტად გათვალისწინებაში. პარტიათა პროგრამებში გაჩნდა ჩანაწერი ბავშვთა ტრეფიკინგის, ქუჩაში ვაჭრობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების და განათლების სისტემიდან განდევნილი უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვების შესახებ. ასევე, ზოგიერთი

პარტიის პროგრამაში დაკონკრეტდა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებებში ბავშვთა ინტერესების დაცვის საკითხები, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამავდროულად ყურადღების მიღმა დარჩა მთელი რიგი თემები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ბავშვთა უფლებების რეალიზებისთვის, მათი უსაფრთხოებისა და ჰარმონიული განვითარებისთვის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ბავშვთა უფლებები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიათაგან, სპეციალურ პორტალზე განთავსებულია 5 პარტიის საარჩევნო პროგრამა. ეს პარტიებია: *ახალი მემარჯვენეები; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; კოალიცია ქართული ოცნება; საქართველოს ლეიბორისტული პარტია; ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა.*

ახალი მემარჯვენეები

პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაპირებას წარმოადგენს განათლების სისტემის რეფორმირება. კერძოდ, დაფინანსების ზრდა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, განათლების დაწყებითი და საბაზისო საფეხურის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების სრული სახელმწიფო დაფინანსება, სკოლის დეპოლიტიზება და დეცენტრალიზაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის ზრდა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, არასრულწლოვნებისთვის (0-16 წლამდე ბავშვი) სამედიცინო დაზღვევის ინიცირება მხოლოდ იმ ოჯახებისთვის, რომლებიც უმწეოთა სტატუსს ფლობენ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას განათლების სისტემის გაძლიერებას აქცევს. უფასო სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, ახალი სკოლების შენება და არსებულის რეაბილიტაცია, მომავლის სკოლების გახსნა, მოსწავლეთა დაზღვევა, პერსონალური კომპიუტერებით პირველი კლასელების და წარჩინებული მოსწავლეების აღჭურვა, წარჩინებული სტუდენტების ცხოვრების და სწავლის დაფინანსება უცხოურ სასწავლებლებში და სხვა.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემებში სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და ბავშვების (0-6 წლამდე) დაზღვევა არის გათვალისწინებული.

კოალიცია ქართული ოცნება

კოალიცია *ქართული ოცნება* სხვა პარტიების მსგავსად, ბავშვის უფლებების დაცვას ძირითადად განათლების, სოციალური და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებით აპირებს. მათი პროგრამის დიდი ნაწილი განათლების სისტემის გაძლიერებას, დეპოლიტიზებას, დაფინანსების სისტემის ცვლილებას და განათლების ხარისხის ზრდას უკავშირდება.

ჯანდაცვის სფეროში უნივერსალური დაზღვევის სისტემის შემოღება მთავარი დანაპირებია. რაც შეეხება სოციალური დაცვის სისტემას, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტების მონაწილეობის ზრდა და მათთვის დაფინანსების და მართვის გადაცემაა წარმოდგენილი. უმცირესობათა უფლებების დაცვის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით ბავშვებისთვის ინოვაციური საბავშვო ბაღების გახსნა, ენის შესწავლის პროგრამები და კურორტებზე ბავშვების დასვენების უზრუნველყოფაა დაგეგმილი.

საქართველოს ლეიბორისტული პარტია

ლეიბორისტული პარტიის პროგრამაში განათლების სისტემის გაძლიერება განათლების ყველა საფეხურის სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლითა და სკოლების ავტონომიით მიიღწევა. ჯანდა-

ცვის და სოციალური დაცვის მიმართულებით პარტია უფასო სამედიცინო მომსახურებას, ხოლო ახალდაქორწინებულ ოჯახებს - პირველ დაბადებულ ბავშვზე 1500 ლარის განსაზღვრას ჰპირდება.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

პარტია, სხვების მსგავსად, უფასო სახელმძღვანელოებს ჰპირდება ოჯახებს, ვინც არ იხდის ქონების გადასახადს. მართლმადიდებლური კულტურის სწავლებასთან ერთად, სკოლის დაფინანსების ზრდა და სოფლების სკოლების აღდგენა მთავარი დაპირებაა. მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვებს, ასევე სოციალურად დაუცველ და მაღალმთიანი რეგიონიდან სტუდენტებს პარტია სწავლის სრულ დაფინანსებას ჰპირდება.

პარტია ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას სუბსიდირების პრინციპში ხედავს. უმწეო მოსახლეობა, რომელშიც 0-18 წლამდე პირებიც მოიაზრებიან, სამედიცინო მომსახურებას სრულად სახელმწიფოს ხარჯზე მიიღებს. ბავშვებისთვის გათვალისწინებულია უნივერსალური დაზღვევის სისტემა, რაც ასევე მოიცავს საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინასებასაც. უნივერსალური დაზღვევა მოიცავს ბავშვთა სტომატოლოგიურ დახმარებას და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას, სადაც გართულებული მშობიარობა და ორსულობის მონიტორინგი იგულისხმება. სოციალური დაცვის სისტემაში შშმ ბავშვის და ობოლი არასრულწლოვნის სოციალური გასაცემელისა და პენსიის ზრდა არის გათვალისწინებული.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პარტიები ბავშვთა საკითხებს ფრაგმენტულად და ზოგადად, ისიც მხოლოდ განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემებში ხედავენ. არც ერთი პარტიის პროგრამა არ ეხება ბავშვთა უსაფრთხოების, მათი განვითარების, სამოქალაქო უფლებების და მართლმსაჯულების საკითხებს. ასევე არ არის ნახსენები ოჯახების გაძლიერება და სახელმწიფო ზრუნვის სისტემები. თითქმის არც ერთი მათგანი არ ახსენებს განათლების სივრციდან განდევნილ ბავშვებს, მათ შორის ქორწინების ან სოციალური სიდუხჭირის გამო.

ბავშვთა საკითხების გაშუქება წინასაარჩევნო პერიოდში

წინამდებარე თავში განხილულია წინასაარჩევნო პერიოდში ეროვნულ მაუწყებლებზე ბავშვის უფლებების გაშუქების მედიამონიტორინგის შედეგები. 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა ექვსი საერთო ეროვნული მაუწყებლის თვისობრივი მონიტორინგი. ეს არხებია: „საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი, "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია", "რუსთავი 2", "მთავარი არხი", "იმედი" და "ტელეკომპანია პირველი".

მედიამონიტორინგის პროცესში ორგანიზაცია დააკვირდა შემდეგ საკითხებს:

- ბავშვები საარჩევნო რეკლამის ობიექტებად;
- ბავშვთა უფლებების საკითხების სიღრმისეული გაშუქების მაგალითები;
- სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები;
- ბავშვთა დაცვის სისტემის გამოწვევები;
- განათლების სისტემა კოვიდ პანდემიის პირობებში;
- პოლიტიკური სუბიექტების დაინტერესება ბავშვთა უფლებების თემით და მედიაში ამ საკითხების ასახვა.

ძირითადი მიგნებები:

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში ბავშვების შესახებ მომზადებული მასალების, ჟურნალისტური პროდუქტის უმეტესობა ზედაპირულია და სიღრმისეულად არ არის განხილული. თუმცა, შეინიშნება ტენდენცია, რომ ეროვნული მაუწყებლების საეთერო სივრცეებში მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვთა საკითხებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ბავშვთა საკითხები ძირითადად ცალკეული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ინტერესებისა თუ პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილში განიხილება, რის შედეგადაც რთულია სამომავლოდ განისაზღვროს, ესა თუ ის საკანონმდებლო ინიციატივა როგორ აისახება ბავშვების ყოველდღიურობაზე.

პოლიტიკოსები ბავშვთა საკითხებს ხშირად იყენებენ საკუთარი პოპულარიზაციისთვის და მათი ინიციატივები ერთდღიანი ახალი ამბის ფორმატის იქით არ მიდის.

მედია ცდილობს დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები ბავშვთა უფლებების საკითხების გაშუქებისას. ეწყობა თოქშოუები, სადაც ცდილობენ ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შეფასებას.

პრობლემად რჩება ბავშვების გამოყენება საარჩევნო რეკლამის ობიექტებად. ასევე არის შემთხვევები, სადაც მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრების დროს კადრებში ჩანან არასრულწლოვნები პარტიის ატრიბუტიკით და მათი სახეები არ არის დაფარული.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები. თვისობრივი მონაცემები:

ბავშვები საარჩევნო რეკლამის ობიექტებად

მონიტორინგის პერიოდში მედიაში დიდი ყურადღება მიიქცია ბავშვების მხარდამჭერებად გამოჩენამ მმართველი პარტიის საარჩევნო კლიპში. კერძოდ, 15 სექტემბერს ტელეკომპანია "მთავარი არხის" ეთერში გავიდა სიუჟეტი - "ბავშვები "ოცნების" კამპანიაში", სადაც ნაჩვენებია მოზარდები "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო აგიტაციის დროს. სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სა-

დაც მცირეწლოვნები "ქართული ოცნების" მაისურებში არიან და არჩევნებზე "ქართული ოცნების" მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ მაყურებელს. სიუჟეტში ბავშვების სახეები დაფარულია და შეუძლებელია მათი იდენტიფიცირება. თუმცა, მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტი ზედაპირულია, ფრაგმენტული და არ არის ნაჩვენები, რატომაა ეს პრობლემა და რამდენად ხშირად ვაწყდებით მსგავს საკითხებს წინასაარჩევნო პერიოდში. ეს სიუჟეტი შეიძლება მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ინტერესებისა თუ პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილში განვიხილოთ, რადგან მას აკლია თემით დაინტერესებული მკვლევარ-ექსპერტების შეფასებები.

"ბავშვები პოლიტიკურ რეკლამაში", - ამ საკითხს მიეძღვნა "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის" 16 სექტემბრის სიუჟეტიც. ზემოთ მოყვანილი სიუჟეტისგან განსხვავებით, აქ დამატებულია ე.წ Vox populi, ხალხის გამოკითხვის კომპონენტი, რომლის მონაწილეებიც ერთსულოვნად გმობენ ბავშვების საარჩევნო რეკლამის ობიექტებად გამოყენებას. ჟურნალისტი საკითხის გაშუქებას უფრო მასშტაბურად არ მიუდგა და ის მხოლოდ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების კომენტარებით შემოიფარგლა. სიუჟეტში არ არის ნაჩვენები, ზოგადად, პარტიულ შეხვედრებზე ბავშვების მონაწილეობის დროს რატომ ირღვევა მათი უფლებები. არ არის ექსპერტის შეფასებები, რომელიც გაამყარებდა, ან დაგმობდა ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

იმას, რომ ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტები ფრაგმენტულია და ხშირად მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური ინტერესების ასახვას ემსახურება, მოწმობს სიუჟეტებში მოყვანილი მაგალითების სიმწირე და ზედაპირული განხილვა. გასულ წლებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ მაინც მოიპოვება კადრები, სადაც პარტიული ატრიბუტიკით არასრულწლოვნები ჩანან პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. საილუსტრაციოდ გამოდგება "საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე" გასული სიუჟეტი, სადაც "ევროპული საქართველოს" ლიდერების მოსახლეობასთან შეხვედრაზე ბავშვები პარტიული ატრიბუტიკით იწონებენ თავს.

"ტელეკომპანია პირველი" შეეცადა გადაცემაში "პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად" ცალკეული მაგალითების მოყვანით, საზოგადოებრივი აზრის დაფიქსირებითა და ასევე მოწვეული ექსპერტის შეფასებებით არსებული გამოწვევის ფართოდ ჩვენებას მაყურებლისათვის, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიები ბავშვთა საკითხებით ნაკლებად ინტერესებიან. მედიაში მცირეა ამ მიმართულებით პარტიების ინიციატივების სიღრმისეული გაშუქება და ის მხოლოდ ახალი ამბებით შემოიფარგლება:

პარტია "ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების" ლიდერმა ლევან იოსელიანმა ხელისუფლებას ინიციატივით მიმართა, მთლიანად დაუშვას ბავშვების სკოლაში სწავლა.

"ბავშვთა უფლებათა კოდექსში" შეტანილი ცვლილებები ამოქმედდება. ახალი მოდელის მიხედვით, სოციალური მუშაკი სასამართლოს გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს და სიღარიბე ვერ გახდება ბავშვის ოჯახიდან გაყვანის საფუძველი.

მედიაში ბავშვებთან დაკავშირებით ინიციატივების, კანონპროექტების გაშუქება სიღრმისეული არ არის და ზედაპირულია. სატელევიზიო სივრცეში ხარისხიანი მასალების ნაკლებობაა. თუმცა, არის ცალკეული გადაცემები, სადაც საკითხის მცოდნე ექსპერტების შეფასებებს გვთავაზობენ. დილის და შუადღის ეთერებში უფრო ხშირად საუბრობენ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა გადაცემამ მთლიანი ბლოკი დაუთმო ბავშვთა თემებს.

სიღრმისეული გაშუქების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ "მთავარი არხზე", 14 სექტემბერს გასულ გადაცემაში, "შენი დილა", გასული სიუჟეტი, სადაც ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა "ბავშვთა უფლებათა კოდექსში" შეტანილი ცვლილებები.

ვრცლად გაშუქდა ბავშვთა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემაში "რეალური სივრცე" საკითხები. "როგორ ცხოვრობენ ბავშვები საქართველოში?" - ხუთმა მოწვეულმა ექსპერტმა სხვადასხვა ჭრილში მიმოიხილა ბავშვთა უფლებების მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

„იმედის" 5 ოქტომბრის სიუჟეტი, მხარდაჭერა შშმ პირებს - როგორ მუშაობენ პერსონალური ასისტენტები, იმ პროგრამის შესახებაა, რომელიც შშმ ბავშვებს გარემოსთან ადაპტაციასა და სოციალიზაციაში ეხმარება.

მძიმე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემებს ეხება "ფორმულას" 26 სექტემბრის რეპორტაჟი - "ბავშვების ხვედრი ფსიქიატრიულში", სადაც კონკრეტული ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია ამ მიმართულებით არსებული სისტემური პრობლემები.

განათლების სისტემის გამოწვევები, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების განათლების უფლება კოვიდ პანდემიის პირობებში - ამ საკითხებს მიეძღვნა .გადაცემა "დროების" რეპორტაჟი (1:04:36-დან)

ტელეეთერში გასული მსგავსი სიუჟეტები პოზიტიურ ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ და აღვნიშნოთ, რომ მედია მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება ბავშვთა საკითხების გაშუქებას.

წინასაარჩევნო კონტექსტში გაშუქებული ბავშვთა საკითხები:

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა არაერთი მაგალითი, როდესაც სიუჟეტი პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილშია მომზადებული და გვხვდება მანიპულაცია ბავშვების თემით.

ამ მხრივ საყურადღებოა "მთავარი არხის" ეთერში პირველ ოქტომბერს, დილისა და საღამოს მთავარ გამოშვებებში გასული სიუჟეტები, რომლებიც ბარბარე რაფალიანცის გამოუძიებელ საქმეს შეეხო. არხის მიერ აღნიშნული საქმით მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდებში დაინტერესება შეიძლება კონკრეტული პარტიებისა თუ პოლიტიკოსების მიერ ბავშვის და ოჯახის ტრაგედიის პიარ-მიზნებისთვის გამოყენებად მივიჩნიოთ.

"მთავარი არხის" ეთერში 12 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი, რომელიც გორის მეხუთე საჯარო სკოლაში არსებულ მდგომარეობას ეხება. სიუჟეტში მშობელი სკოლის დირექტორს ადანაშაულებს იმაში, რომ მის არასრულწლოვან შვილს, რომელსაც დიაბეტი აქვს, არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ აძლევს შესაძლებლობას, პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლის რეჟიმზე გადავიდეს. ოფიციალური უწყებების კომენტარები არ არის და მხოლოდ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ლაპარაკობს ამ საკითხზე.

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით ხშირია პოლიტიკოსების ბავშვებთან ერთად გამოჩენა, მათთან საერთო ფოტოების გადაღება. მსგავსი შეხვედრები რეალურად ბავშვთა საკითხებით დაინტერესებით არ არის განპირობებული და ის მხოლოდ კონკრეტული ლიდერის პიარ-კამპანიის ნაწილია, რომ შემდგომ ის საზოგადოებაში "მზრუნველი" და უფრო "ადამიანური" წარმოჩნდეს. მაგალითად გამოდგება საზოგადოებრივი მაუწყებლის 6 სექტემბრის ახალი ამბავი, სადაც "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი თავს იწონებს ბავშვებთან ერთად. მისი განცხადებაც ზოგადია, ზედაპირული და პრობლემების აღმოფხვრაზე არ არის ორიენტირებული: "მე ჩამოვთვალე პირველხარისხოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ ოლიგარქების წასვლისთანავე იქნება მიღებული, რაც მოგვცემს იმის გარანტიებს, რომ ქართული გენი, ქართული ნიჭი და ქართული ტალანტი, რომელიც ულამაზესს ბავშვებშია, იქნება ხელშეწყობილი, განვითარებული და კოსმოსში ატყორცნილი".

დასკვნა

მედიამონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ ტელესივრცეში ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქება არ ხდება. ჟურნალისტური პროდუქტის უმეტესობა ზედაპირულია და ბავშვებთან დაკავშირებული თემები მხოლოდ ახალი ამბების ფორმატში შუქდება. თუმცა, ცალკეულ გადაცემებში ეთმობა მთლიანი ბლოკი ბავშვთა თემებზე საუბარს, სიღრმისეულ შეფასებას, რაც დადებით ტენდენციად შეიძლება შეფასდეს.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტები კონკრეტული პარტიის ინიციატივას უცდიან და ნაკლებად ცდილობენ თვითონ წამოწიონ წინ ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და შექმნან დღის წესრიგი. ჟურნალისტური პროდუქტი ხშირად პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილშია მომზადებული.

დასკვნა

ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის სისტემის გამოწვევები არასაკმარისად და არასრულად არის ასახული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში. პოზიტიურად უნდა შეფასდეს partiebi.ge-ის ინიციატივა - საზოგადოებისთვის აქტუალური თემების შესახებ პოლიტიკური პარტიების ხედვების იდენტიფიცირების პროცესში ბავშვის უფლებების თემის შეყვანის შესახებ, რამაც შესაძლებელი გახადა პოლიტიკური პარტიების ნაწილის პრიორიტეტების იდენტიფიცირება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა შემთხვევაში, ბავშვის უფლებების შესახებ ექვსი პოლიტიკური პარტიის პოზიციის გაგება იქნებოდა შესაძლებელი, რადგან დანარჩენმა პარტიებმა მხოლოდ კითხვარის შევსების პროცესში გაამახვილეს ყურადღება ამ საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების ხედვა ბავშვის უფლებების თემასთან დაკავშირებით უმეტესად დეკლარაციული, დაუკონკრეტებელი და ზოგადია, 2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, გარკვეულ პროგრესზე მაინც შეიძლება საუბარი. პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გაჩნდა უშუალოდ ბავშვთა კეთილდღეობის თემასთან დაკავშირებული ახალი თავები, გამოიყო ახალი პრიორიტეტული და აქტუალური საკითხები. ეს სიახლე პოზიტიურ ტენდენციას ქმნის სამომავლოდ ბავშვის უფლებების თემის წინასაარჩევნო დღის წესრიგში უფრო აქტიურად პოზიციონირებისათვის.

2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, უარყოფითი ტენდენცია დაფიქსირდა 2020 წლის არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ისეთი თემების გაუთვალისწინებლობასთან და პროგრამების მიღმა დარჩენასთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება განათლების მისაწვდომობის გაზრდას სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისთვის, ჯანმრთელობის უფლების მისაწვდომობისა და ჯანდაცვის მომსახურებების ხარისხის გაზრდას.

2020, 2016 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზი გვაძლევს დასკვნის შესაძლებლობას, რომ ყოველი მომდევნო არჩევნების დროს უფრო მეტად კეთდება აქცენტი ბავშვის უფლებების თემაზე. თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ფრაგმენტულად და მხოლოდ განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები იყო საარჩევნო პროგრამებში ნახსენები, 2016 წელს ეს ჩამონათვალი გაფართოვდა და დაემატა ბავშვთა დაცვის სისტემის საკითხები, რომელიც კიდევ უფრო მრავალფეროვანი ფორმით არის წარმოდგენილი 2020 წლის არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში. მაგალითად, ბავშვთა მიმართ ძალადობა, რომელიც წინა არჩევნების დროს არ ყოფილა პრიორიტეტული, 2020 წელს ყველაზე მეტი საარჩევნო სუბიექტის მიერ დასახელდა, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში.

მნიშვნელოვანია, ის მცირე პროგრესი, რომელიც შეინიშნება 2012 წლიდან დღემდე, შემდეგი არჩევნების დროს შენარჩუნდეს, კერძოდ:

• პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ცალკე თავად გამოიყოს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები;
• ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების დასახელების პარალელურად, განისაზღვროს კონკრეტული ხედვა მათ მოსაგვარებლად;
• პოლიტიკურმა პარტიებმა მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ გამოყონ პრიორიტეტული თემები.

დანართი -
ბავშვთა დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები

სოციალური მუშაობის სფეროს პრობლემები ბავშვთა კეთილდღეობას **საფრთხეს** უქმნის

რა უნდა ვიცოდეთ?

1 სოციალური მუშაკები 24 მიმართულებით მუშაობენ.

2 2020 წლის თებერვლის მონაცემებით, ბავშვზე ზრუნვის სისტემაში/ზრუნვის სააგენტოში მხოლოდ 206 სოციალური მუშაკია.

3 2019 წელს სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკებიდან 86-ს პროფესიული ცოდნა არ ჰქონდა.

აკადემიური განათლება 47

სერტიფიცირებული 106

ძირითადი გამოწვევები

სოციალური მუშაკების რაოდენობა არასკამარისია

სოციალური მუშაკების რაოდენობა, ბოლო მონაცემებით, 206-ს არ აღემატება. ეს მაშინ, როდესაც მათ 24 მიმართულებით უწევთ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ზრდის ნაცვლად, 2020 წლის თებერვალში სოციალური მუშაკების რაოდენობა შემცირდა.

სანდო სტატისტიკის არარსებობა ართულებს სოციალური მუშაკების დატვირთვის განსაზღვრას

სააგენტოს არ აქვს სტატისტიკის აღრიცხვის ერთიანი სისტემა და თავადაც არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას დასაქმებულების დატვირთვის შესახებ. ზუსტი მონაცემების დათვლას ხელს უშლის კადრების ხშირი ცვლაც. გასათვალისწინებელია, რომ სოციალური მუშაკი ძირითადად მუშაობს შემთხვევებზე, რომლებიც ხანგრძლივად მოითხოვს მის ჩართულობას.

სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი არაკვალიფიცირია

1 მათ მესამედზე მეტს პროფესიული ცოდნა არ აქვს. **ეს გავლენას ახდენს:**

- მუშაობის ხარისხზე.
- საფრთხის წინაშე აყენებს ისედაც ყველაზე მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებს.

2 აკადემიურ განათლებას სოციალურ მუშაკთა მხოლოდ მეოთხედი ფლობს, დანარჩენი კი სერტიფიცირებულია.

3 არ არის უზრუნველყოფილი უწყვეტი განათლების საკითხიც.

4 ბავშვზე ზრუნვის სისტემაში სოციალური მუშაკები არ არიან უზრუნველყოფილნი პროფესიული ზედამხედველობით დასაქმების ადგილზე.

მწირია აუცილებელი მომსახურებები, რომელთა გარეშე სოციალური მუშაობა შეუძლებელია

1 შედეგად, ვერ ხერხდება ბენეფიციართა უწყვეტი და მყისიერი ჩართვის უზრუნველყოფა.

2 გაუგებარია მთავრობის გადაწყვეტილება ზოგიერთი პრევენციული მომსახურების დაფინანსების შემცირების შესახებ.

რა უნდა გაკეთდეს?

- გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა და მოხდეს მათი საქმიანობის დიფერენცირება.
- დაიწყოს სოციალური მუშაკების დატვირთვის სრულყოფილი და სანდო სტატისტიკის წარმოება.
- დაიწყოს სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და უწყვეტი განათლების სისტემის უზრუნველყოფა.
- დაიწყოს საჭიროებების კვლევა და მომსახურებების შესაბამისად დაგეგმვა-გაძლიერება.
- დაიწყოს საჭიროებების კვლევა და მომსახურებების შესაბამისად დაგეგმვა-გაძლიერება.
- გაიმართოს ბავშვზე ზრუნვის სისტემა.
- შესაბამისობაში მოვიდეს სოციალური მუშაობის კანონი და ბავშვის უფლებათა კოდექსი.
- მომზადდეს ნიადაგი კოდექსის იმ მუხლების აღსასრულებლად, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვთან მუშაობის დაწყებას ახლებური სისტემით.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

სოციალური მუშაობის სფერო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. სოციალური მუშაკების შრომითი პირობები მძიმეა, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება ბავშვთა კეთილდღეობაზე. მწვავე პრობლემები, რომელსაც სოციალური მუშაობის სფეროში ვაწყდებით, პირდაპირ კავშირშია სოციალური მუშაობის ეფექტიანობასთან.

1. სოციალური მუშაკების რაოდენობა არასაკმარისია - სოციალური მუშაკების რაოდენობა, ბოლო მონაცემებით, 206-ს არ აღემატება. ეს მაშინ, როდესაც მათ 24 მიმართულებით უწევთ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ზრდის ნაცვლად, 2020 წლის თებერვალში სოციალური მუშაკების რაოდენობა შემცირდა. შედეგად, ზოგიერთი რეგიონი სოციალური მუშაკის გარეშე დარჩა;

2. სანდო სტატისტიკის არარსებობა ართულებს სოციალური მუშაკების დატვირთვის განსაზღვრას - სახელმწიფოს არ აქვს სტატისტიკის აღრიცხვის ერთიანი სისტემა და თავადაც არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას დასაქმებულების დატვირთვის შესახებ. სააგენტოს არა აქვს კანონით დადგენილი რეგულაცია სოციალური მუშაკის დატვირთვის განსაზღვრასთან დაკავშირებით;

3. სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი არაკვალიფიციურია - მათ მესამედზე მეტს პროფესიული ცოდნა არ აქვს. ეს მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მუშაობის ხარისხზე და საფრთხის წინაშე აყენებს ისედაც ყველაზე მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებს. აკადემიურ განათლებას სოციალურ მუშაკთა მხოლოდ მეოთხედი ფლობს, დანარჩენი კი სერტიფიცირებულია. არ არის უზრუნველყოფილი უწყვეტი განათლების საკითხიც. სოციალური მუშაკები არც პროფესიული ზედამხედველობით არიან უზრუნველყოფილნი;

4. მწირია აუცილებელი მომსახურებები, რომელთა გარეშე სოციალური მუშაობა შეუძლებელია - შედეგად, ვერ ხერხდება ბენეფიციართა უწყვეტი და მყისიერი ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ფონზე, გაუგებარია მთავრობის გადაწყვეტილება ზოგიერთი პრევენციული მომსახურების დაფინანსების შემცირების შესახებ.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა და მოხდეს მათი საქმიანობის დიფერენცირება;
- დაიწყოს სოციალური მუშაკების დატვირთვის სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება;
- დაუყოვნებლივ დაიწყოს სოციალურ მუშაკთა უწყვეტი განათლების სისტემის უზრუნველყოფა;
- გაიმართოს ბავშვზე ზრუნვის სისტემა - რეორგანიზაციის ფარგლებში შემუშავდეს ტრანზიციის გეგმა;
- შესაბამისობაში მოვიდეს სოციალური მუშაობის კანონი და ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- მომზადდეს ნიადაგი კოდექსის იმ მუხლების აღსრულებისთვის, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვთან მუშაობის დაწყებას ახლებური სისტემით.

პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერიმომსახურებები **ვერ პასუხობს** ბავშვთა დაცვის სისტემის გამოწვევებს

რა უნდა ვიცოდეთ?

1 ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს შიდამეურნეობაში, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნები დაუკმაყოფილებელია.

2 ბავშვების 69%-ის მიმართ გამოუყენებიათ აღზრდის რომელიმე ძალადობრივი მეთოდი.

+ 66%

3 სახლში 3 ან მეტი წიგნი სოფლად მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 66%-ს აქვს.

ფსიქოლოგიური აგრესია **66%** ფიზიკური დასჯა **31%**

მოკლედ

პრობლემები

- ბავშვთა სიღარიბე
- აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება
- წიგნებზე ხელმისაწვდომობა
- ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები არასათანადოდ ვითარდება.
- გამოწვევებს არსებული პროგრამები ვერ პასუხობს.
- სახელმწიფოს არ აქვს სამოქმედო გეგმა.
- კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმები ბუნდოვანია.

ეს ხელს უშლის „ჭიშკრის დარაჯობის“ პრინციპების განუხრელ დაცვას.

ძირითადი გამოწვევები

სახელმწიფო პროგრამები, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, არ მოიცავს მოწყვლადი ოჯახების გასაძლიერებლად საჭირო ყველა საკვანძო ასპექტს და ვერ უზრუნველყოფს პრევენციას. **იმის გათვალისწინებით, რომ:**

ბავშვების 22.1% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს

69%

ბავშვების დიდ ნაწილთან აღზრდის ძალადობრივ მეთოდს მიმართავენ.

მშობლები არ არიან სათანადოდ ჩართული ბავშვთა აღზრდაში.

- კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმები ბუნდოვანია.
- გამოწვევებზე ხელისუფლების პასუხი არასათანადოა, მომსახურებები — მწირი.
- მუნიციპალურ დონეზე არსებული პროგრამები არაეფექტურია.
- სამთავრობო სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება.

რა უნდა გაკეთდეს?

- განვითარდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ოჯახების მხარდაჭერის კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე.
- ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას: მშობელთა განათლება, ეკონომიკური გაძლიერება და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.
- ოჯახების მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტებმა უზრუნველყოს სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის, ასევე ზიანის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების დროული გამოვლენა.
- მუნიციპალურ დონეზე განვითარდეს სოციალური მუშაობის ინსტიტუტი და ბავშვთა მეგობრული ცენტრების/დღის ცენტრების მომსახურება. გაუმჯობესდეს სექტორთა და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმები.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE | საერთაშორისო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეებისა ჩართულობის ორგანიზაციები ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის COALITION FOR CHILDREN AND YOUTH

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

ქვეყანაში მწვავედ დგას ბავშვთა სიღარიბის, აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისა და წიგნებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამ ფონზე ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები არასათანადოდ ვითარდება. სახელმწიფო პროგრამები, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, არ მოიცავს მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებისათვის საჭირო ყველა საკვანძო ასპექტს და ვერ უზრუნველყოფს პრევენციას.

1. კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმები ბუნდოვანია - 2019 წელს მიღებული ბავშვთა უფლებების კოდექსი მოიცავს ჩანაწერს ოჯახების მხარდაჭერის შესახებ, თუმცა გაურკვეველია, როგორ მოხდება მისი აღსრულება, რა შინაარსი ექნება პროგრამებს, რა რესურსებით და რამდენად ხარისხიანად განხორციელდება ისინი;

2. გამოწვევებზე ხელისუფლების პასუხი არასათანადოა, მომსახურებები კი, მწირი - ცენტრალურ დონეზე მოქმედი ისედაც მცირე რაოდენობისა და ფრაგმენტული გეოგრაფიული დაფარვის პროგრამები არ ითვალისწინებს მშობელთა განათლების, უნარების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური გაძლიერების საკვანძო კომპონენტებს;

3. მუნიციპალურ დონეზე არსებული პროგრამები არაეფექტურია - ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალიწინებული ოჯახებზე მიმართული რამდენიმე პროგრამა და მხოლოდ ფულადი გასაცემელი არ უზრუნველყოფს ბავშვის ოჯახთან დაშორების პრევენციას და ვერ ამცირებს რისკებს ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით. მხოლოდ ფულადი სახის გასაცემელი ვერ აკმაყოფილებს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების კომპლექსურ საჭიროებებს.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე განვითარდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ოჯახების მხარდაჭერის კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- ოჯახების მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტებმა უზრუნველყოს სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის, ასევე ზიანის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების დროული გამოვლენა;
- ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას მშობელთა განათლება, ეკონომიკური გაძლიერება და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა;
- მუნიციპალურ დონეზე განვითარდეს ბავშვთა მეგობრული ცენტრების/დღის ცენტრების მომსახურება;
- მუნიციპალურ დონეზე სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება მოხდეს იმგვარად, რომ მათ ჰქონდეთ ადეკვატური სამუშაო დატვირთვა და პირობები, პროფესიული განვითარებისა და ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემის გათვალისწინებით;
- მუნიციპალურ დონეზე გაუმჯობესდეს სექტორთა და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმები, პრევენციის, ადრეული ინტერვენციისა და ოჯახში მხარდაჭერის გაძლიერების მიმართულებით.

ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნების (რეინტეგრაციის) პროგრამა **არაეფექტურია**

რა უნდა ვიცოდეთ?

1 სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა რეინტეგრირებულ ბავშვებზე საშუალოდ 4-ჯერ მეტია.

2 სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ოჯახებში იმ პრობლემების აღმოფხვრას, რის გამოც ბავშვები განთავსდნენ სახელმწიფო მზრუნველობაში.

საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სისტემის დეინსტიტუციონალიზაცია 2000 წლიდან დაიწყო.

ძირითადი გამოწვევები

2011 წელს თითქმის ყველა ბავშვთა სახლი გაუქმდა და ბავშვების 23% ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა, ქვეყანამ ვერ შექმნა სათანადო მხარდაჭერის სისტემა. შედეგად, დღეისთვის რეინტეგრაციის შემთხვევათა სტატისტიკა ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების შემთხვევათა სტატისტიკასთან შედარებით მკვეთრად დაბალია.

1. საფუძვლიანად არ ფასდება ის გარემო-პირობები, რომელშიც ბავშვს უწევს დაბრუნება.
2. ოჯახები თავად ცდილობენ ბავშვის დასაბრუნებლად პირობების შექმნას და უფლებამოსილ ორგანოს შემდეგ მიმართავენ.
3. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები ვერ პასუხობს ოჯახის სპეციფიკურ საჭიროებებს.
4. ოჯახებს უჭირთ რეინტეგრირებული ბავშვების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება — (მათი უმრავლესობის შემოსავალი საარსებო მინიმუმს ბევრად არ აღემატება. ოჯახებს უჭირთ ბავშვის კვების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა)
5. მაღალია ძალადობრივი მოპყრობის რისკი.

რა უნდა გაკეთდეს?

- შემუშავდეს პროგრამის განვითარების ხედვების ამსახველი სტრატეგია.
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მათი პროგრამების უპირატეს სამიზნე ჯგუფად განსაზღვრონ რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახები და ბავშვები.
- სახელმწიფომ განავითაროს რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული ოჯახებისთვის მიზნობრივი/საჭიროებებზე მორგებული მხარდამჭერი სისტემები და არსებული სისტემების ხარისხის შეფასება.
- რეინტგრაციის შემთხვევების მზადება მოიცავდეს ინტენსიურ მუშაობას ბავშვთან, ოჯახთან და ოჯახის დამხმარე ქსელთან, რაც გაიწერება დოკუმენტურად („ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში“, ასევე „ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის ინტერვენციის გეგმაში“).

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

ბავშვებზე მზრუნველობის პრიორიტეტული ფორმა მათი ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდაა. ბავშვთა სახლების გაუქმების შემდგომ ქვეყანამ ვერ შექმნა სათანადო მხარდაჭერის სისტემა, რის გამოც რეინტეგრაციის პროცესი ფერხდება და ეს სტატისტიკაზეც აისახება - ოჯახში დაბრუნებული ბავშვების რაოდენობა ბევრად დაბალია მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო სახლებში მყოფების ჯამურ რაოდენობასთან შედარებით. ოჯახებს უჭირთ რეინტეგრირებული ბავშვის საბაზისო საჭიროებებით უზრუნველყოფა და მაღალია ძალადობრივი მოპყრობის რისკები. აუცილებელია რეინტეგრაციის შემთხვევების სათანადო მომზადება, სტრატეგიის შემუშავება და მხარდამჭერი სისტემის განვითარება.

1. საფუძვლიანად არ ფასდება ის გარემო-პირობები, რომელშიც ბავშვს უწევს დაბრუნება - სოციალური მუშაკები არ ამზადებენ ბიოლოგიურ ოჯახებს რეინტეგრაციის პროცესის ინიცირებისთვის და ეს გადაწყვეტილება ხშირად არ არის ობიექტური გარემოებებით განპირობებული. არ ფასდება რისკები, რომელთაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება ოჯახში ახალი კრიზისები გამოიწვიოს, რაც საფრთხეს შეუქმნის ბავშვის ცხოვრებასა და განვითარებას;

2. ოჯახები თავად ცდილობენ ბავშვის დაბრუნებისთვის პირობების შექმნას და უფლებამოსილ ორგანოს შემდეგ მიმართავენ - პროცესი სრულად არის დამოკიდებული „დაინტერესებული მხარის“ და ბავშვის თანმხვედრ სურვილზე, მოხდეს რეინტეგრაცია. ამ მიმართულებით არ არის ჩამოყალიბებული სისტემური მიდგომა, რაც ბავშვების სრულწლოვან ასაკამდე სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში დარჩენას განაპირობებს;

3. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები ვერ პასუხობს ოჯახის სპეციფიკურ საჭიროებებს - რეინტეგრაციის პროგრამა, უმეტეს შემთხვევაში, ფულადი დახმარების გაცემით იფარგლება. სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება სოციალურ მუშაობას, რაც რეინტეგრირებული ბავშვისა და მისი ოჯახის უფლებებს დაიცავდა და სოციალურ ფუნქციონირებაში დაეხმარებოდა. პრობლემურია არსებულ მწირ მხარდამჭერ პროგრამებში ოჯახების ჩართვაც, რადგანაც ეს პროცესი გვიანდება ან საერთოდ არ ხდება;

4. ოჯახებს უჭირთ რეინტეგრირებული ბავშვების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება - მათი უმრავლესობის შემოსავალი საარსებო მინიმუმს ბევრად არ აღემატება. ოჯახებს უჭირთ ბავშვის კვების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს პროგრამის განვითარების ხედვების ამსახველი სტრატეგია; ასევე, რეინტეგრაციის სტატისტიკა, რომელიც ასახავს პროგრამის განვითარების ხედვებს;
- სახელმწიფომ განავითაროს რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული ოჯახებისთვის მიზნობრივი/საჭიროებებზე მორგებული მხარდამჭერი სისტემები და შეაფასოს არსებული სისტემების ხარისხი;
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მათი პროგრამების უპირატეს სამიზნე ჯგუფად განსაზღვრონ რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახები და ბავშვები.

სკოლამდელი განათლება და **შეუსრულებელი** ვალდებულებები

რა უნდა ვიცოდეთ?

1 საბავშვო ბაღში არ დადის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების 67%, სოციალურად დაუცველი ბავშვების 60%, სოფლად მცხოვრები ბავშვების 53%.

საბავშვო ბაღში არ დადის

- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები — 67%
- სოციალურად დაუცველი ბავშვები — 60%
- სოფლად მცხოვრები ბავშვები — 53%

2 სკოლამდელი დაწესებულებების დირექტორთა ნახევარი არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ კვალიფიკაციას.

3 57 მუნიციპალიტეტში აღმზრდელების 44% არაკვალიფიციურია.

ძირითადი გამოწვევები

- ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა ოპტიმალურზე ბევრად მაღალია.
- სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა დაბალია.
- სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის დიდი ნაწილი არაკვალიფიციურია.
- სკოლამდელი დაწესებულების დიდ ნაწილში გამოყოფილი არ არის ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხიმსგებელი პირი.
- აღმზრდელებისა და დირექტორების გადამზადება შეფერხებულია.
- ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის გადაუჭრელია როგორც მშობლიური, ასევე სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემა.
- საბავშვო ბაღების დიდი ნაწილის ინფრასტრუქტურა არ არის უსაფრთხო და ვერ აკმაყოფილებს ყველა ბავშვის საჭიროებებს.
- წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალისთვის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს — 56 მუნიციპალიტეტის მონაცემებით, მათი თითქმის 2/3 ყოველწლიურად თითო ბაშვზე 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს. ამასთან, საბავშვო ბაღების უმეტესობას არ აქვს საკმარისი რაოდენობის სათამაშო.

56 მუნიციპალიტეტის თითქმის 2/3 — **წელიწადში < 10 ლარი** — არასაკმარისი სათამაშო

ასაგ კანონის დამტკიცებიდან დღემდე განსაზღვრული რიგი ვალდებულებები ჯერ ისევ შეუსრულებელია.

რა უნდა გაკეთდეს?

- შემუშავდეს მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვების სკოლამდელ განათლებაში ჩართვის უზრუნველმყოფი სტრატეგია.
- დადგინდეს სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის წესი.
- დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი დასეწებულების შენობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ.
- ჯგუფების დაკომპლექტებისას დაცული იყოს ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა, ასაგ კანონის შესაბამისად.
- სახელმწიფომ დაამტკიცოს და დანერგოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი დოკუმენტები.
- განისაზღვროს აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა.
- განათლების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოამზადოს საგანმანათლებლო რესურსების სია და მეთოდოლოგიური რესურსები.
- ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში გამოიყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

საქართველოს ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ხარისხიან სკოლამდელი განათლების მომსახურებაზე. გაუმართავია ინფრასტრუქტურა. ხარვეზებია როგორც კანონმდებლობის, ასევე მისი აღსრულების კუთხით.

1. სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა დაბალია - დიდ ქალაქებში ხშირად მშობლებს ბავშვები ბაღებში ვერ მიყავთ თავისუფალი ადგილების არარსებობის გამო. ბევრ სოფელში ბაღი საერთოდ არ არის, არც ბავშვების ტრანსპორტირებაა უზრუნველყოფილი;

2. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის დიდი ნაწილი არაკვალიფიციურია - პერსონალის დაბალი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, სპეციალიზებული დამხმარე პერსონალის დეფიციტი, ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას;

3. ბაღების დიდ ნაწილის ინფრასტრუქტურა არ არის უსაფრთხო და ვერ აკმაყოფილებს ყველა ბავშვის საჭიროებებს;

5. წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალისთვის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს;

6. ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა ოპტიმალურზე ბევრად მაღალია;

7. ენობრივი უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის გადაუჭრელია როგორც მშობლიური, ასევე სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემა - გამოწვევაა ბილინგვური/მულტილინგვური პედაგოგების მომზადების საკითხი;

8. სკოლამდელი დაწესებულების დიდ ნაწილში გამოყოფილი არ არის ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების სკოლამდელ განათლებაში ჩართვის უზრუნველმყოფი სტრატეგია - სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მომსახურების საჭიროების და ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით;
- დადგინდეს სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციის წესი;
- განისაზღვროს აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა;
- დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულების შენობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ;
- განათლების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით მოამზადოს საგანმანათლებლო რესურსების სია და მეთოდოლოგიური რესურსები;
- ჯგუფების დაკომპლექტებისას დაცული იყოს ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა, ასაგ კანონის შესაბამისად;
- ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში გამოიყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი.

ოჯახიდან ბავშვის გამოყვანა **ადვილი** გახდა, მისი უკან დაბრუნება — **რთული**

რა უნდა ვიცოდეთ?

1 მინდობით აღზრდის ახალ შემთხვევებში ჩვილების წილი 47%-ია.

47%

2 მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების 26% 0-4 წლამდე ასაკისაა.

26%

3 0-4 წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ 13% დაბრუნდა ბიოლოგიურ მშობლებთან.

0-4 წელი | 13% | დაბრუნდა ბიოლოგიურ მშობლებთან

4 სახელმწიფო რესურსების 81% ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაზე იხარჯება.

81%

5 სახელმწიფო რეაბილიტაციის და ზრუნვის პროგრამებში ჩართულ 6836 პირს მხოლოდ 271 სოციალური მუშაკი ემსახურებოდა.

271

ძირითადი გამოწვევები

ადრეულ ასაკში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის ტენდენცია შემაშფოთებელია — შესაბამისი მაჩვენებელი მაღალია.

2017 - 2018 **მიტოვებული ჩვილები** **28** იმ დროს, როდესაც რეფორმის დასაწყისში ბავშვის ინსტიტუციურ ზრუნვაში მოხვედრის ძალიან მაღალი მაჩვენებელი იყო.

2018 - 2019 **ოჯახიდან გამოყვანილი ჩვილები** **121** „ძალადობის სხვადასხვა ფორმის“ გამო.

სახელმწიფოს რესურსების 81% მიმართულია ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაზე — სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს ოჯახის გაძლიერების პროგრამებზე. თუმცა, რეინტეგრაციის პროგრამაში გაცილებით ნაკლები ბავშვი ხვდება, ვიდრე ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაში.

2018 **ჩვილი** ~50% მინდობით აღზრდაში ახალმოხვედრილი

2018 **0-4 წელი** 13% ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

სოციალური მუშაკების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი მომსახურება დეფიციტურია.

2018 **სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამა** **6836** ჩართული პირი → აქედან → **სოციალური მუშაკი** **271**

რა უნდა გაკეთდეს?

- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში დაინერგოს სოციალური მუშაობის პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში შემუშავდეს სოციალური პროგრამები ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით.
- შემუშავდეს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის გაიდლაინები.
- ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას ბავშვის, მშობლისა და ოჯახის საჭიროებებზე მორგებული რესურსები მულტისექტორულ და მულტიდისციპლინურ პრინციპებზე დაყრდნობით.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE | საერთაშორისო საორგანიზაციო განვითარებისა და მოქალაქეებისა ჩართულობის ინსტიტუტი ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)
კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის COALITION FOR CHILDREN AND YOUTH

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემას დადებითი შედეგები მოუტანა, თუმცა სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამებში ჩართული ბავშვებისა და მათი ოჯახების მდგომარეობის ანალიზი შემაშფოთებელ ტენდენციებს გვიჩვენებს. განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ბავშვთა ოჯახიდან გამოყვანის მაჩვენებელი „ჭიშკრის დარაჯობისა“ და ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკის არაეფექტურობაზე მიუთითებს. სოციალური მუშაკების სამუშაო ვალდებულებები უმეტესწილად არ შეესაბამება პროფესიულ როლსა და კომპეტენციებს. აუცილებელია სოციალური მუშაობის პროფესიული ზედამხედველობა, სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა და სამუშაო აღწერილობის გადახედვა, ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის სათანადო პრევენცია და მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

1. ადრეულ ასაკში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის ტენდენცია შემაშფოთებელია - შესაბამისი მაჩვენებელი მაღალია;

2. სახელმწიფოს რესურსების 81% მიმართულია ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაზე - სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს ოჯახის გაძლიერების პროგრამებზე. თუმცა, რეინტეგრაციის პროგრამაში გაცილებით ნაკლები ბავშვი ხვდება, ვიდრე ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაში. მაგალითისთვის, 2018 წელს მინდობით აღზრდაში ახლად მოხვედრილი ბავშვების თითქმის ნახევარი ჩვილი იყო. იმავე პერიოდში, 04 წლამდე ბავშვების მხოლოდ 13%ის რეინტეგრაცია მოხდა ბიოლოგიურ ოჯახში;

3. სოციალური მუშაკების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი მომსახურება დეფიციტურია - სოციალური მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და ოჯახის მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანობისთვის. 2019 წლის იანვრის მონაცემებით, სახელმწიფო სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამებში 6836 პირი იყო ჩართული, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა არ აღემატებოდა 271ს. 2020 წლის თებერვლის მონაცემით, მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში დაინერგოს სოციალური მუშაობის პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმი; განვითარდეს კლინიკური სოციალური მუშაობის მიდგომები; შემუშავდეს ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის სახელმძღვანელო პრინციპები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში შემუშავდეს სოციალური პროგრამები ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით; შემუშავდეს სოციალური მუშაობის მომსახურების სტანდარტები;
- ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებში გათვალისწინებული იქნას ბავშვის, მშობლისა და ოჯახის საჭიროებებზე მორგებული რესურსები მულტისექტორულ და მულტიდისციპლინურ პრინციპებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ბავშვების მიტოვების პრევენციას **ვერ უზრუნველყოფს**, 900 ბავშვი **არალიცენზირებულ** პანსიონატებში რჩება

რა უნდა ვიცოდეთ?

1 ევროკავშირის დონეზე **უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს**

4.3% შინამეურნეობის | **5.0%** მოსახლეობის | **6.8%** ბავშვების

2 საქართველოში **ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს**

19.6% შინამეურნეობის | **21.7%** მოსახლეობის | **27.6%** ბავშვების

3 **ღარიბ შინამეურნეობაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა**

2015 — 26.8%

2017 — 31.6%

4 მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მიერ მოწყვლადი მოსახლეობის დაფარვის არეალი შეზღუდულია, რადგან ის ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 37%-ს ფარავს.

37%

5 ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე ხელს უშლის ბავშვების დიდ ნაწილს, მიიღონ თავიანთი ასაკის შესაბამისი განვითარებისათვის საჭირო საკვები.

ძირითადი გამოწვევები

2004 წელს დაწყებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა, **დისკრიმინაციულად არ შეეხო** შშმ ბავშვთა სახლებს.

დღეს **ბავშვთა სახლში მცხოვრები შშმ ბავშვი** **80**-მდე

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსთან, მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა სადღეღამისო პანსიონატებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ბავშვთა სახლები. მათგან უმეტესობა არის **არალიცენზირებული**, რაც ზრდის იქ მცხოვრები **900**-მდე ბავშვის უფლებების სისტემური დარღვევის რისკს.

ბავშვები ცხოვრობენ ასევე სკოლა-პანსიონატებში, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს განათლების სამინისტროს.

საქართველოში **პანსიონური მომსახურების სკოლა** **16** → აქედან → **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რესურსსკოლა** **7**

რა უნდა გაკეთდეს?

- შემუშავდეს და დაინერგოს ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ოჯახების გაძლიერებისკენ, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბავშვების მიტოვების პრევენციისკენ.
- იმ დაწესებულებებიდან, რომელიც ვერ ლიცენზირდებიან, ბავშვები სასწრაფოდ უნდა გადაიყვანონ ალტერნატიულ ზრუნვის ფორმებში.
- ყველა დაწესებულებაში იდენტიფიცირდეს ბავშვის და ოჯახების საჭიროებები და ოჯახების მხარდამჭერი ისეთი მექანიზმები შეიქმნას, რომელიც ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნებას გახდის შესაძლებელს.
- ლიცენზირდეს სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულება.
- ლიცენზირებულ დაწესებულებებში, თუკი საჭიროებების კვლევით დადგინდა, რომ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება შეუძლებელია მისი საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, ბავშვი გადაიყვანონ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებაში.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბავშვების მიტოვებას და მათი დიდი ზომის, ხშირად არალიცენზირებულ დაწესებულებებში მოხვედრის პრევენციას. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პირობებში საქართველოში დიდი ზომის ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებები დაიხურა და მათ ნაცვლად გაჩნდა ზრუნვის ალტერნატიული ფორმები. თუმცა, სოციალური დაცვის სისტემის გაუმართაობისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის კრიზისის პირობებში, როდესაც ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ისეთ შინამეურნეობაში, სადაც დაკმაყოფილებული არ არის მათი საბაზისო საჭიროებები, კვლავ გაგრძელდა ბავშვების ინსტიტუციონალიზაცია.

1. 2004 წელს დაწყებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება იყო, დისკრიმინაციულად არ შეეხო შშმ ბავშვთა სახლებს. შშმ ბავშვები კვლავ განაგრძობენ ცხოვრებას დიდი ზომის დაწესებულებებში.

2. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი არასრულწლოვანთა სადღეღამისო პანსიონატები და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ბავშვთა სახლები. მათგან უმეტესობა არ არის ლიცენზირებული.

3. ბავშვები ცხოვრობენ ასევე სკოლა-პანსიონატებში, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს განათლების სამინისტროს. ამ დაწესებულებებში მოსწავლეების ჩარიცხვის მიზეზი ხშირად ოჯახების სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონეა.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს და დაინერგოს ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ოჯახების გაძლიერებისკენ, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბავშვების მიტოვების პრევენციისკენ;
- 2021 წლის ბოლომდე მოხდეს ყველა დიდი ზომის დაწესებულების ლიცენზირება, რომელიც სტანდარტს აკმაყოფილებს;
- ყველა დაწესებულებაში განისაზღვროს ბავშვის და ოჯახების საჭიროებები და შეიქმნას ოჯახების მხარდამჭერი ისეთი მექანიზმები, რომელიც ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნებას გახდის შესაძლებელს;
- ლიცენზირებულ დაწესებულებებში, თუკი საჭიროებების კვლევით დადგინდა, რომ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება შეუძლებელია მისი საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, ბავშვი გადაიყვანონ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებაში;
- იმ დაწესებულებებიდან, რომელიც ვერ გაივლიან ლიცენზიას, ბავშვები სასწრაფოდ უნდა გაიყვანონ ალტერნატიული ზრუნვის ფორმებში.

საქართველოში ბავშვებზე **ძალადობის მაჩვენებელი მაღალია**, რადგან სახელმწიფო ვერც პრევენციას უზრუნველყოფს და ვერც ეფექტურ რეაგირებას

რა უნდა ვიცოდეთ?

1 2019 — **სკოლებში მოსწავლეთა შორის სავარაუდო ბულინგი** — **1134** შემთხვევა — **განათლების სამინისტრო**

2 2019 — **ოჯახში ძალადობის შემთხვევები** — **მსხვერპლი** არასრულწლოვანი — **740** შემაკავებელი ორდერი — **სსს**

3 380 ადამიანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ოჯახში ძალადობის/დანაშაულის საფუძველზე გამოცემული ორდერების დარღვევის გამო.

4 2019 — **არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობა** — **262** შემთხვევა — **დაიწყო გამოძიება**

5 კვლავ მაღალია ბავშვთა გადინება საგანმანათლებლო სივრცეებიდან ქორწინების მიზეზით, რაც გოგოების წინაშე არსებული გამოწვევაა.

პრობლემების იდენტიფიცირება

საქართველოში ბავშვებზე ძალადობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია, სისტემური პრობლემები და პრევენციის არსებული მექანიზმები ვერ პასუხობს გამოწვევებს.

ძალადობის შემთხვევები საგანგაშოა, იდენტიფიცირება კი პრობლემური.

გამოწვევად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულის პრევენცია — **მიუხედავად გამომძიებლებისთვის რეკომენდაციების მომზადებისა და სსს-ის საინფორმაციო კამპანიისა:**

2018 — **ბავშვთა ქორწინება** — **115** შემთხვევა

2019 — **ბავშვთა ქორწინება** — **261** შემთხვევა — **სოციალური მომსახურების სააგენტო**

უმწვავეს პრობლემად რჩება **ბავშვებზე სექსუალური ძალადობა.**

2019 — **არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობა** — **262** შემთხვევა — **24** გაუპატიურება — **სსს**

ბავშვების ძალადობისგან დაცვის არსებული მექანიზმი ნაკლოვანია — მართალია, არსებობს შემაკავებელი მექანიზმი ორდერების სახით, თუმცა, მაგალითად, დარღვეული ორდერების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ დაცვის მექანიზმები ნაკლოვანია.

რა უნდა გაკეთდეს?



- უნდა რეფორმირდეს ბავშვზე ზრუნვის სისტემა — როგორც პროგრამულად, ასევე პროფესიონალების შემომატებით.
- გაუმჯობესდეს კომუნიკაცია უწყებებს შორს ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტური რეაგირების მიზნით.
- რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდოს ძალადობაგამოვლილ და დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისები ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით.
- არსებითად უნდა გადაიხედოს ოჯახში ბავშვზე ძალადობის სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები. უნდა შეიცვალოს სქესობრივი დანაშაულის გამოძიების და პრევენციის მექანიზმი, მათ შორის კიბერდანაშაულების. უნდა არსებობდეს მსხვერპლთა რეაბილიტაციის ეფექტური პროგრამები.
- საგანმანათლებლო გარემოს ცვლილება უსაფრთხოებისთვის — სკოლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაიქირვონ პროფესიონალები ბულინგისა და ძალადობის პრევენციისთვის. საჭიროა შემუშავდეს ბულინგის წინააღმდეგ და ძალადობის პრევენციის, ასევე მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლაში. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ავტორიზაციისასაც — როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში. სკოლებში ასევე უნდა ისწავლებოდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობა.
- გადაიხედოს ბავშვთა ქორწინების გამოძიების პრაქტიკა და მექანიზმები.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობა მწვავე პრობლემაა, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, პრევენციის კუთხით სახელმწიფოს უმოქმედობითა და მეორე მხრივ, ეფექტური რეაგირების არარსებობით. ვითარებას ამძიმებს ის, რომ უკიდურესად მწირია ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის და სფეროში მომუშავე პროფესიონალთა რაოდენობა. ასევე ისიც, რომ უწყებებს შორის თანამშრომლობა ფრაგმენტულია.

1. ძალადობის შემთხვევები საგანგაშოა, იდენტიფიცირება პრობლემური - კვლავ საგანგაშოა ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა და იდენტიფიცირების სირთულე. სისტემური პრობლემები ვლინდება ოჯახში და საგანმანათლებლო გარემოში ძალადობის შემთხვევათა ზრდაში, არაეფექტურ რეაგირებაში და პრევენციული პოლიტიკის ნაკლებობაში. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის სერვისები, მცირედი გაუმჯობესების მიუხედავად, არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს;

2. გამოწვევად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულიც პრევენცია;

3. ბავშვების ძალადობისგან დაცვის არსებული მექანიზმი ნაკლოვანია - მართალია, არსებობს შემაკავებელი მექანიზმი ორდერების სახით, თუმცა, მაგალითად, დარღვეული ორდერების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ დაცვის მექანიზმები ხშირად არაეფექტურია;

4. უმწვავეს პრობლემად რჩება ბავშვებზე სექსუალური ძალადობა - სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებელის მიუხედავად, პარლამენტმა ბავშვთა უფლებების კოდექსის მიღებისას პროექტიდან ამოიღო მნიშვნელოვანი ინიციატივა სკოლებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლების შესახებ.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- არსებითად უნდა გადაიხედოს ოჯახში ბავშვზე ძალადობის სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები. უნდა შეიცვალოს სქესობრივი დანაშაულის გამოძიების და პრევენციის მექანიზმი, მათ შორისაა კიბერ-დანაშაულებიც. უნდა არსებობდეს მსხვერპლთა რეაბილიტაციის ეფექტური პროგრამები;
- უნდა რეფორმირდეს ბავშვზე ზრუნვის სისტემა - როგორც პროგრამულად, ასევე პროფესიონალების შემომატებით;
- რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდოს ძალადობაგამოვლილ და დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისები ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით;
- გაუმჯობესდეს კომუნიკაცია უწყებებს შორს ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტური რეაგირების მიზნით;
- გადაიხედოს ბავშვთა ქორწინების გამოძიების პრაქტიკა და მექანიზმები;
- საგანმანათლებლო გარემოს ცვლილება უსაფრთხოებისთვის - სკოლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაიქირავონ პროფესიონალები ბულინგისა და ძალადობის პრევენციისთვის. საჭიროა შემუშავდეს ბულინგის წინააღმდეგ და ძალადობის პრევენციის, ასევე მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლაში. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ავტორიზაციისასაც - როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში. სკოლებში ასევე უნდა ისწავლებოდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

საქართველოში მკვდრადშობა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა იკლებს, თუმცა ევროპულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად **აღემატება**

რა უნდა ვიცოდეთ?

1 **ცოცხლადშობილი ბავშვი**

1000 ბავშვზე — მოკვდავობა შეადგენდა **41** (1990), **11** (2015), **8.1** (2018)

2 **მკვდრადშობა**

1000 დაბადებაზე — მკვდრადშობა შეცირდა **16.8** (2006), **8.5** (2018)

3 1990-იან წლებთან შედარებით, ჩვილ ბავშვთა მოკვდავობა და მკვდრადშობა საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს.

4 კვლავ მაღალი რჩება ნეონატალური სიკვდილიანობის წილი 5 წლამდე ბავშვების, ასევე ჩვილთა სიკვდილიანობაში.

სიკვდილიანობის წილი

58-60% — 0-5 წელი

70% — ჩვილები

ძირითადი გამოწვევები

5 ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის განმაპირობებელ მიზეზთა შორის ძირითადად გამოყოფენ: დედის ჯანმრთელობის მდგომარეობას პერინატალურ პერიოდში, დღენაკლულობას, თანდაყოლილ ანომალიებს, ინფექციებს, ანტე და ინტრანატალურ ასფიქსიას.

ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მიზეზების შესწავლა და ანალიზი არასაკმარისია

კვლევები აჩვენებს, რომ სიკვდილიანობის დაახლოებით მესამედი შეიძლება იქნეს თავიდან აცილებული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში ორსულობის ადრეულ პერიოდში.

მკვდრადშობის მიზეზების შესწავლა ასევე დიდი გამოწვევაა

იშვიათია ვერბალური და პათოლოგანატომიური ავტოფსიის შედეგების ანალიზი, არც სამედიცინო ჩანაწერებშია სრულფასოვანი ინფორმაცია დედის ჯანმრთელობის იმგვარ დეტერმინანტებზე, როგორიცაა გარემო და ქცევა. ორივე მნიშვნელოვანი ბარიერია მიზეზების კვლევისას.

საკმარისად არ შეისწავლება ახალგაზრდა და ფერტილური ასაკის ქალების რეპროდუქციული პოტენციალი

ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზებში წამყვანია პერინატალურ პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის, დედის ჯანმრთელობა.

რა უნდა გაკეთდეს?

- საჭიროა ფერტილური ასაკის ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, გაეროს სტანდარტების შესაბამისად.
- უნდა დაინერგოს ნაადრევი მშობიარობის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ჯანმოს მიერ მოწოდებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს.
- უნდა გაუმჯობესდეს პერინატალური და სამეანო დახმარების ხარისხი სამეანო დაწესებულებათა ფართო ქსელში — ამისთვის საჭიროა სისტემური ცვლილებები ამბულატორიულ რგოლში.
- ღრმად დღენაკლული ახალშობილებისთვის საჭიროა კატამნეზის კაბინეტის ან განყოფილების ორგანიზების საკითხის განხილვა, რაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური დახმარებისთვის.
- საჭიროა თითოეული სიკვდილის მიზეზის ანალიზი — როგორც სიკვდილის პრევენციის, ასევე ბიოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალური ფაქტორების ღრმად შესწავლით (მათ შორის, რეგიონულ ჭრილში). უნდა მოხდეს რისკფაქტორების იდენტიფიცირება, ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

საქართველოში მკვდრადშობადობის მონაცემები ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, კვლავ აღემატება საშუალო ევროპულ და გლობალურ საერთო მაჩვენებელს. საქართველოს მონაცემებში მნიშვნელოვანი სხვაობაა რეგიონულ ჭრილში. კვლავ მაღალია ჩვილ ბავშვთა წილი 0-დან 5-წლამდე ბავშვების გარდაცვალების მაჩვენებელში, რაც გლობალ მონაცემს ორჯერ აღემატება. პრობლემებს შორის გასათვალისწინებელია ის, რომ არ ხდება: ასაკის ქალების ჯანმრთელობის ფერტილური კვლევა (მათ შორის პრენატალური სკრინინგი) და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მიზეზების ანალიზი, რასაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია პრევენციაში. ბავშვთა მოკვდაობის პრევენციის ძირითად გამოწვევებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

1. ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების მიზეზების შესწავლა და ანალიზი არასაკმარისია - კვლევები აჩვენებს, რომ სიკვდილიანობის დაახლოებით მესამედი შეიძლება იქნას თავიდან აცილებული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის და ორსულობის ადრეულ პერიოდში მკურნალობის შემთხვევაში;

2. მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა ასევე დიდი გამოწვევაა - იშვიათია ვერბალური და პათოლოგანატომიური აუტოფსიის შედეგების ანალიზი, არც სამედიცინო ჩანაწერებშია სრულფასოვანი ინფორმაცია დედის ჯანმრთელობის იმგვარ დეტერმინანტებზე, როგორიცაა გარემო და ქცევა, არადა, ორივე მნიშვნელოვანი ბარიერია მიზეზების კვლევისას;

3. საკმარისად არ შეისწავლება ახალგაზრდა და ფერტილური ასაკის ქალების რეპროდუქციული პოტენციალი - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზებში წამყვანია პერინატალურ პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის დედის ჯანმრთელობა.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- საჭიროა თითოეული სიკვდილის მიზეზის ანალიზი - როგორც სიკვდილის პრევენციის, ასევე ბიოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალური ფაქტორების ღრმად შესწავლით (მათ შორის, რეგიონულ ჭრილში). უნდა მოხდეს რისკ-ფაქტორებს იდენტიფიცირება, ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;
- საჭიროა ფერტილური ასაკის ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა გაეროს სტანდარტების შესაბამისად;
- უნდა გაუმჯობესდეს პერინატალური და სამეანო დახმარების ხარისხი სამეანო დაწესებულებათა ფართო ქსელში - ამისთვის საჭიროა სისტემური ცვლილებები ამბულატორიულ რგოლში;
- უნდა დაინერგოს ნაადრევი მშობიარობის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ჯანმო-ს მიერ მოწოდებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს;
- ღრმად დღენაკლული ახალშობილებისთვის საჭიროა კატამნეზის კაბინეტის ან განყოფილების ორგანიზების საკითხის განხილვა საქართველოს ყველა რეგიონში, რაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური დახმარებისთვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება **ვერ პასუხობს** ბავშვის საუკეთესო ინტერესებს

რა უნდა ვიცოდეთ?

1 უმეტეს შემთხვევებში, ბავშვების დაკითხვა-გამოკითხვა არ ხდება მათზე ორიენტირებულ გარემოში.

2 არ არსებობს გამოსაკითხად შესაბამისი სივრცეები.

3 გამომძიებლებმა/პროკურორებმა არ იციან, ზუსტად რა შემთხვევაშია საჭირო ფსიქოლოგის მოწვევა.

4 უმეტესად, როცა ფსიქოლოგს რთავენ, მათ არასაკმარისი კომპეტენცია აქვთ. არც ისაა განსაზღვრული, რა უნდა გააკეთონ მათ ბავშვის მხარდასაჭერად.

ძირითადი გამოწვევები

არ არსებობს ბავშვზე ორიენტირებული გარემო

შეუსაბამო გარემომ ბავშვს შეიძლება შეუქმნას დისკომფორტი ან, საერთოდაც, სარისკო აღმოჩნდეს მისთვის. ევროპული სტანდარტით, ბავშვი არა შემაშინებელ, არამედ ისეთ გარემოში უნდა გამოიკითხოს, სადაც თავს უსაფრთხოდ იგრძნობს და, შესაბამისად, თავისუფლად ილაპარაკებს.

ფსიქოლოგებს არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია

არ არის განსაზღვრული დაკითხვაში ფსიქოლოგის ჩართვის წესი და ფუნქციები

გამომძიებლებმა არ იციან, როდის უნდა ჩაერთოს პროცესის მიმდინარეობაში ფსიქოლოგი.

რა უნდა გაკეთდეს?

- განისაზღვროს პროცესში ფსიქოლოგის და გამომძიებლის როლი და მანდატი.
- შეიქმნას ტრეინინგ მოდულები და მათ საფუძველზე გადამზადდნენ ფსიქოლოგები.
- გადაიდგას ნაბიჯები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებსა და იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება გამოიკვეთა.
- განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მოხდება ფსიქოლოგის ჩართვა მოწმე ან დაზარალებულ ბავშვთან მუშაობისას.
- დაკითხვა-გამოკითხვის NICHD სტანდარტით ჩატარება გახდეს სავალდებულო.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, ამიტომ მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემო და იმ პირების კომპეტენცია, ვისაც მათთან აქვთ შეხება. ბავშვები უმეტესად მათთვის შეუფერებელ გარემოში იკითხებიან ზრდასრულებთან ერთად, სადაც მათი ინტერესი არაა გათვალისწინებული. განსაზღვრული არაა, რა შეიძლება იყოს ფსიქოლოგის ჩართვის საფუძველი არასრულწლოვანთა დაკითხვა/გამოკითხვის პროცესში და ფსიქოლოგებს არც შესაბამისი გადამზადება აქვთ გავლილი. არც პასუხისმგებელი უწყება არსებობს. ამ ხარვეზების გამოსწორებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემაში მოხვედრილი ბავშვების უსაფრთხოებისთვის და ასევე მათი სამომავლო განვითარებისთვის. შესაბამისად, საჭიროა როგორც გარემოს ბავშვზე მორგება და გაუმჯობესება, ასევე პროფესიონალების მომზადება და მათი პროცესში ჩართვის ნათელი წესებისა და მანდატის დადგენა.

სისხლის სამართლის სფეროში ბავშვების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და მათი საუკეთესო ინტერესის დაცვა პირდაპირ აისახება მათ მომავალ განვითარებასა და შესაბამისი ადგილის პოვნაზე საზოგადოებაში. მიუხედავად სტატუსისა, მართლმსაჯულების სფეროში მოხვედრილი ბავშვები ყველაზე მოწყვლადი არიან. სისტემაში არსებული ხარვეზები ვერ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. პრობლემებს შორის გამოსაყოფია:

1. არ არსებობს ბავშვზე მორგებული გარემო - შეუსაბამო გარემომ ბავშვს შეიძლება შეუქმნას დისკომფორტი, ან საერთოდაც სარისკო აღმოჩნდეს მისთვის. ევროპული სტანდარტით, ბავშვი არა შემაშინებელ, არამედ ისეთ გარემოში უნდა გამოიკითხოს, სადაც თავს უსაფრთხოდ იგრძნობს და შესაბამისად, თავისუფლად ილაპარაკებს. საქართველოში, პრაქტიკაში, ბავშვები იმავე სივრცეში იკითხებიან, სადაც ზრდასრულები, გარემო ქაოტურია, ისმის ყვირილი და გინებაც;

2. არ არის განსაზღვრული დაკითხვაში ფსიქოლოგის ჩართვის წესი და ფუნქციები - მიუხედავად მთავრობის ადმინისტრაციის მტკიცებისა, ეს ჩარჩო და წესები არაა დადგენილი, რაც პრაქტიკაში უამრავ პრობლემას ქმნის. გამომძიებლებმა არ იციან, როდის უნდა ჩაერთოს პროცესის მიმდინარეობაში ფსიქოლოგი;

3. ფსიქოლოგებს არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია - კვლევამ ცხადყო, რომ საქმეში ჩართულ ფსიქოლოგებს არ აქვთ შესაბამისი სპეციალიზაცია და ცოდნა, რაც სავალდებულოა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტით.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- გადაიდგას ნაბიჯები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებსა და იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება გამოიკვეთა;
- განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მოხდება ფსიქოლოგის ჩართვა მოწმე ან დაზარალებულ ბავშვთან მუშაობისას;
- განისაზღვროს პროცესში ფსიქოლოგის და გამომძიებლის როლი და მანდატი;
- დაკითხვა-გამოკითხვის NICHD სტანდარტით ჩატარება გახდეს სავალდებულო;
- შეიქმნას ტრეინინგ მოდულები და მათ საფუძველზე გადამზადდნენ ფსიქოლოგები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები **ვერ იღებენ** საჭირო სოციალურ სერვისებს და განათლებას

რა უნდა ვიცოდეთ?

1 ქვეყანაში ინკლუზიური განათლებისა და სოციალური სერვისების დაგეგმვის, აღსრულების და მონიტორინგის გეგმა **არ არსებობს.**

2 საჯარო სკოლების მხოლოდ 65%-შია სსსმ მოსწავლე იდენტიფიცირებული.

3 ბოლო სამ წელში 20%-ით გაიზარდა სსსმ სტუდენტების რაოდენობა, ვისაც პროფესიული სასწავლებლის მიერ სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა.

4 სოციალური სერვისი ყველა რეგიონში არაა მიწოდებული, არსებული სერვისების ნაწილი კი **მონიტორინგს** მიღმაა.

5 0-3 წლამდე ბავშვების მხოლოდ 15%-ია ჩართული ადრეული განვითარების პროგრამაში.

პროგრამაში ჩართული ბავშვები

0-3 წელი

ძირითადი გამოწვევები

სსსმ ბავშვების სტატუსის განსაზღვრის არსებული მოდელი შესაცვლელია

გაეროს სსსმ ბავშვი კონვენციის რატიფიცირებით, საქართველომ საკუთარ თავზე აიღო ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ვალდებულება. თუმცა, მისი დიდი ნაწილის, მათ შორის, მიზნობრივი სერვისების გაჩენა შეუძლებელი იქნება ქვეყანაში არსებული შეფასების სისტემის — **სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის პირობებში.** ის სრულად ეფუძნება სამედიცინო დიაგნოზს და არ მოიცავს ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს, ბარიერებს და საჭიროებებს, რის გამოც პენსია ფიქსირებულია.

მომლოდინე სიები, რეგიონული დაფარვა, უხარისხო სერვისები, სოციალური სერვისის ხარვეზები

ბოლო წლებში **„სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის პროგრამას“** დაფინანსების დადებითი დინამიკა აქვს, თუმცა მოყვანილი ხარვეზები ადგილზე რჩება. ამას ემატება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური სერვისების არამიზნობრივი გადაფარვა სახელმწიფო პროგრამებში. სამინისტრო არც ბავშვების საჭიროებებს იკვლევს და არც სამოქმედო გეგმა აქვს, როგორ უნდა განვითარდეს სერვისები.

სკოლების დიდ ნაწილში შშმ პირები იდენტიფიცირებული არ არიან ან მათი დიდი ნაწილი განათლების სისტემის მიღმაა

სკოლების მხოლოდ 65%-მა თქვა, რომ მათ იდენტიფიცირებული ჰყავთ სსსმ მოსწავლე. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას რამდენიმე ფაქტორი აფერხებს: სკოლის ფიზიკური გარემო, რესურსების სიმწირე, პერსონალში კვალიფიკაციის ნაკლებობა და მონიტორინგის სისტემის შეზღუდვები. სფეროში მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა, მრავალფეროვნება და რეგიონული გადანაწილება საჭიროებების არაპროპორციულია. შშმ პირებს შეზღუდული აქვთ წვდომა პროფესიულ განათლებაზეც — 50%-ზე მეტ შემთხვევაში მათთვის გამოყოფილი ადგილი არასაკმარისია, დიდ ნაწილს სტატუსიც შეუჩერდა.

რა უნდა გაკეთდეს?

- უნდა შემუშავდეს ინკლუზიური განათლების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასება-მონიტორინგის მკაფიო გეგმა.
- უმაღლესი განათლების სისტემაში ხელი უნდა შეეწყოს ინკლუზიური განათლების სფეროში შესაბამისი სპეციალიზაციის კადრების მომზადებას.
- სკოლებს გაეზარდოს ინკლუზიური განათლების მიზნობრივი დაფინანსება.
- დაინერგოს შესაბამისი პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, რომ სსსმ პირებმა სწორი პროფესიული არჩევანი გააკეთონ, ასევე გადაიხედოს მინისტრის ბრძანება, რომელიც მათთვის მხოლოდ 10%-იან კვოტას აწესებს.
- მომზადდეს ბავშვთა ფუნქციური შეფასების ოპტიმალური მოდელი, მისი გამოყენების შედეგები გასაჯაროვდეს და შემუშავდეს შესაბამისი სოციალური პოლიტიკა.
- სსსმ ბავშვებსა და მათი ოჯახების მხარდაჭერაზე დახარჯული ფინანსების მიზნობრივი და ეფექტური მართვის მიზნით გადანაწილდეს პასუხისმგებლობები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.
- დაიხვეწოს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა მონიტორინგის მექანიზმი.
- შემუშავდეს ადრეული იდენტიფიცირების და მიმართვიანობის სტრატეგია, თანდართული სამოქმედო გეგმით.
- შემუშავდეს სერვისის მიწოდების სტანდარტი, სერვისის მიმწოდებლებს დახმარება და მონიტორინგი გაეწიოს ადგილობრივ დონეზე.
- შეიქმნას სსსმ ბავშვთა ერთიანი ბაზა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

ბროშურა მოამზადა კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის", აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESSის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია "ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის".

შშმ პირების სტატუსის განსაზღვრის მოდელი, რომელიც სამედიცინო დიაგნოზს ეფუძნება, არასრულფასოვანია და არ მოიცავს ინდივიდის პერსონალურ საჭიროებებს. შშმ პირების დიდი ნაწილი განათლების სისტემის მიღმა რჩება, როგორც სკოლაში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში. მათთვის მიწოდებული სოციალური სერვისები ნაკლოვანია, არ ხდება არც საჭიროებების კვლევა და არც მონიტორინგი. არ არსებობს ვითარების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა.

1. შშმ პირების სტატუსის განსაზღვრის არსებული მოდელი შესაცვლელია - გაეროს შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირებით, საქართველოს საკუთარ თავზე აიღო ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ვალდებულება. თუმცა, მისი დიდი ნაწილის, მათ შორის, მიზნობრივი სერვისების გაჩენა შეუძლებელი იქნება ქვეყანაში, სანამ შეფასების სამედიცინო მოდელი არ შეიცვლება სოციალური მოდელით;

2. სკოლების დიდ ნაწილში შშმ პირები იდენტიფიცირებული არ არიან ან მათი დიდი ნაწილი განათლების სისტემის მიღმაა - ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას რამდენიმე ფაქტორი აფერხებს: სკოლის ფიზიკური გარემო, რესურსების სიმწირე, პერსონალის კვალიფიკაციის ნაკლებობა და მონიტორინგის სისტემის შეზღუდვები. სფეროში მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა, მრავალფეროვნება და რეგიონული გადანაწილება საჭიროებების არაპროპორციულია;

3. მომლოდინე სიები, რეგიონული დაფარვა, უხარისხო სერვისები - სოციალური სერვისის ხარვეზები - ბოლო წლებში "სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე სახელმწიფო ზრუნვის პროგრამას" დაფინანსების დადებითი დინამიკა აქვს, თუმცა ზემოთმოყვანილი ხარვეზები ადგილზე რჩება. ამას ემატება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური სერვისების არამიზნობრივი გადაფარვა სახელმწიფო პროგრამებში. სამინისტრო არც ბავშვების საჭიროებებს იკვლევს და არც სამოქმედო გეგმა აქვს, როგორ უნდა განვითარდეს სერვისები.

პრობლემის მოგვარების მიზნით პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები:

- შემუშავდეს ინკლუზიური განათლების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასება - მონიტორინგის მკაფიო გეგმა;
- უმაღლეს განათლების სისტემაში ხელი შეეწყოს ინკლუზიური განათლების სფეროში შესაბამისი სპეციალიზაციის კადრების მომზადებას;
- სკოლებს გაეზარდოს ინკლუზიური განათლების მიზნობრივი დაფინანსება;
- დაინერგოს შესაბამისი პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, რომ სსსმ პირებმა სწორი პროფესიული არჩევანი გააკეთონ, ასევე გადაიხედოს მინისტრის ბრძანება, რომელიც მათთვის მხოლოდ 10%-იან კვოტას აწესებს;
- მომზადდეს ბავშვთა ფუნქციური შეფასების ოპტიმალური მოდელი, მისი გამოყენების შედეგები გასაჯაროვდეს და შემუშავდეს შესაბამისი სოციალური პოლიტიკა;
- დაიხვეწოს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა მონიტორინგის მექანიზმი
- შშმ ბავშვებსა და მათი ოჯახების მხარდაჭერაზე დახარჯული ფინანსების მიზნობრივი და ეფექტური მართვის მიზნით გადანაწილდეს პასუხისმგებლობები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.